ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან 17-27 ნოემბერი 1994 № 62 (137) ფასი სახელშეკრულებო

# 5:0



Georgia, With a 5-0 Waltz, Hands Wales Worst Defeat

Compiled by Our Staff From Dispatches
Georgia romped to a 5-0 crushing of Wales in a Europe-
closing seconds, and dropped to 0-2 in the group.
Of the 11 Albanian starters,
The best opportunity for t Germans came late in the gan after a controversial decision



ოთხშაბათ საღამოს ევროპის ყველა სპორტული ტელე თუ რადიო მიმოხილვა თბილისიდან მიღებული ცნობით იწყებოდა, მეორე დღეს კი გაზეთები ამგვარი სათაურებით აჭრელდა...

EM-Qualifikation: Wertvolle Schützenhilfe in Gruppe 7 für die Fußball-Elf

Sensation in Tiflis: Georgier deklassieren die Waliser

Georgien — Wales 5:0 (2:0)

echiani (59.), 5:0 Sch. Arweladse (67.) — SR: Sars (Frankreich) — Zuschauer: 40 000 in Tiflis — Gelbe Karten: Zchodadse (2. Verwarnung

Im Stadion von Tiflis trugen sich zur Mittagsstunde höchst ungewöhnliche Dinge zu, denn die Briten hatten sogar den besseren Start. Der ehemalige Bayern-Stürmer Hughes be-

weggeschlagen konnte. Von nun an spielte nur noch Georgien, das sich förmlich in einen Rausch steigerte. Überragend Zchedadse als Libero, der junge Ex-Saarbrücker Kinkladse

## უელსის გემი ქართველებმა საბოლოოდ ჩაძირეს

საქართველოს ნაკრები უფრო შემძლე აღმოჩნდა, ვიდრე სმიტს ეგონა. კი ვიცოდით, რომ ქართველები ინდივიდუალურად ძლიერები არიან, მაგრამ ოთხშაბათს ამან ხუთმაგად გაამართლა. მატჩის შემდეგ სმიტმა თქვა, ჩვენ გაგვანადგურეს და ახლა ბოთლი ბრენდი თუ მიშველისო...
ქეცბაია, ქინქლაძე და არველაძე უელსის სხეულში ეკლებივით იყვნენ გაჩხერილნი.

„ტაიმსი", 17 ნოემბერი

## უელსის შავი დღე

საქართველოში წვიმიანი დღე იყო და ქართველთა გოლებიც უმოწყალოდ დაეწვიმა უელსს. თუ გულახდილნი ვიქნებით, მარცხი უარესიც შეიძლება ყოფილიყო. ქართველები ერთობ მარჯვედ და ზუსტად ათამაშებდნენ ბურთს, ზოგჯერ — გადასარევადაც...

BBC-ს რადიომაუწყებლობა, 16 ნოემბერი

## სმიტს მომავლის ეშინია

მასუკან, რაც უელსმა 1953 წელს საფრანგეთთან 1:6 წააგო, ასეთი საშინელი მარცხი აღარ უწნევია. გავრცელდა ცნობა, რომ შესაძლოა ნაკრებში ტერი იორატი დააბრუნონ. თბილისში განადგურების შემდეგ სმიტის მომავალი გაურკვეველია...

„დეილი მირორი", 17 ნოემბერი

...თემურ ქეცბაიამ ბურთი ცაციით გაისწორა, ჰაერშივე მარჯვენა შეაგება და ცხრიანში გაგზავნა.






კახი ცხადაძე: ბოლოსდა-ბოლოს ჩვენი გავიტანეთ. ნაკრები მატჩიდან მატჩამდე ხვეწს თამაშს...

# აბა ფეხბურთი მერე ნახეთ!



| ევროპის ჩემპიონატი |
|---|
| VII შესარჩევი ჯგუფი |
| თბილისი, ეროვნული სტადიონი, 16 ნოემბერი |
| საქართველო — უელსი 5:0 |
| 1. დევაძე<br>3. ცხადაძე<br>2. რევიშვილი 4. შელია 5. ჩიხრაძე<br>7. ნემსაძე<br>6. გოგიჩაიშვილი 10. ქინქლაძე 9. ქეცბაია<br>11. შ. არველაძე 8. გოგრიჭიანი |
| 9. რაში 10. პიუზი<br>8. სონდერსი<br>11. სპიდი 6. ფილიპსი<br>7. პორნი<br>3. ბოუენი 5. კოულმენი 4. მელვილი 2. ნელსონი<br>1. საუთპოლი |
| შეცვლები: 42-ე წთ. ნემსაძე — 15. ინალიშვილი<br>46-ე წთ. ნელსონი — 14. საიმონსი<br>75-ე წთ. ქეცბაია — 14. ყაველაშვილი |
| 1:0 ქეცბაია (31), 2:0 ქინქლაძე (41), 3:0 ქეცბაია (49), 4:0 გოგრიჭიანი (59), 5:0 შ. არველაძე (67) |
| გაფრთხილება: ცხადაძე (33), სპიდი (43), პიუზი (45) |
| მსაჯები: სარსი, კოტრელი, გურო (საფრანგეთი) |
| კუთხური 3:10 (0:2); ჯარიმა 9:14 (9:9), თამაშგარე 5:0 (4:0), კარში დარტყმა 15:16 (8:5) |

| საქართველო | ჯარიმა | | კარში დარტყმა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | + | – | სულ | საჯ. გარ. | საჯ. შიგნ. | აცდა | მე-კარე | ძელი | გოლი |
| 1 დევაძე | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2 რევიშვილი | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 3 ცხადაძე (კაპ) | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 4 შელია | 2 | 3 | — | — | — | — | — | — | — |
| 5 ჩიხრაძე | 1 | — | — | — | — | — | — | — | — |
| 6 გოგიჩაიშვილი | 1 | — | 1 | 1 | — | 1 | — | — | — |
| 7 ნემსაძე | — | 1 | — | — | — | — | — | — | — |
| 8 გოგრიჭიანი | 2 | 1 | 4 | 1 | 3 | 2 | — | 1 | 1 |
| 9 ქეცბაია | 2 | 1 | 3 | — | 3 | — | 1 | — | 2 |
| 10 ქინქლაძე | 2 | 1 | 4 | 2 | 2 | 2 | 1 | — | 1 |
| 11 შ. არველაძე | — | — | 3 | — | 3 | 1 | 1 | — | 1 |
| 15 ინალიშვილი | 2 | 1 | — | — | — | | — | — | — |
| 14 ყაველაშვილი | — | — | — | — | | | — | — | — |
| სულ | 14 | 9 | 15 | 4 | 11 | 6 | 3 | 1 | 5 |

| უელსი | ჯარიმა | | კარში დარტყმა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | + | – | სულ | საჯ. გარ. | საჯ. შიგნ. | აცდა | მე-კარე | ძელი | გოლი |
| 1 საუთპოლი | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 2 ნელსონი | 1 | 1 | 1 | — | 1 | — | — | — | — |
| 3 ბოუენი | — | 1 | 1 | — | 1 | — | 1 | — | — |
| 4 მელვილი | 1 | — | 2 | 1 | 1 | — | 1 | 1 | — |
| 5 კოულმენი | — | 2 | — | — | — | — | — | — | — |
| 6 ფილიპსი | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 7 პორნი (კაპ) | — | 2 | 1 | 1 | — | — | — | — | — |
| 8 სონდერსი | — | — | 5 | 4 | 1 | 2 | 3 | — | — |
| 9 რაში | — | 2 | 1 | — | 1 | — | — | — | — |
| 10 პიუზი | 3 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — | — |
| 11 სპიდი | 3 | 5 | 1 | — | 1 | 1 | — | — | — |
| 14 საიმონსი | — | — | 3 | — | 3 | 2 | 1 | — | — |
| | | | 4 დარტყმა მცველებმა მოიგერიეს | | | | | | |
| სულ | 9 | 14 | 16 | 7 | 9 | 5 | 6 | 1 | — |

...მზემ მაშინღა გამოანათა, როცა მინდორი უკანასკნელმა ფეხბურთელმა დატოვა: ქართველების ნაჯაფარმა კაპიტანმა ინტერვიუები ჩამოარიგა, ტაშის გრიალში გვირაბში გაუჩინარდა და სტადიონის თავზეც ინათა. ბუნებამაც მოიცალა საზეიმოდ, მაგრამ ამ ქვეყანაში ადამიანებს ხომ კარგა ხანია სიხარული გადაავიწყდათ. იმდღევანდლის ბადალი გამარჯვებების შემდეგ ძველ დროში სტადიონი უმალ ქალალდის მაშხალებით აბრდღვიალდებოდა, მერე მახლობელ ქუჩებს მოედებოდა ხალხი საზეიმო მსვლელობით, შეღამებულზე კი ნადიმებიც ბლომად გაიმართებოდა. ახლა კი ორმოციოდე ათასმა კაცმა ხუთწუთიანი ოვაცია მოაწყო, მერე უცებ რეალობას დაუბრუნდა და თავის გაყინულ და ჩაბნელებულ ბინებს მიაშურა. მზეც მაშინვე დაუბრუნდა ღრუბლების საუფლოს...

არადა, საზეიმო იმ დღეს მართლაც გვქონდა: თუნდაც ფეხბურთში, მაგრამ ბოლო დროს ხომ მაინც პირველად დავამტკიცეთ, რომ ის ხალხი არა ვართ, ვისაც არ დაეზარება — დაგვამარცხოს და თავში ხელი წამოგვარტყას. მაგრამ, ეტყობა, სიხარულისა და ზეიმის უნარი მხოლოდ იმ რჩეულთა კასტას შერჩენია ჩვენში, ფილარმონიაში — გალა-კონცერტებზე თუ „მეტეხში" ან სხვა დიდ სატრაპეზოში — პრეზენტაციებსა და მიღებებზე რომ იკრიბება და არა საფეხბურთო თემს — თამაშამდე ბილეთის ფასი რომ აღელვებს და თამაშის მერე — შინ დაბრუნების პრობლემა.

„უელსის ნაკრები კარგი გუნდია, მართლაც კარგი. ამას იმიტომ როდი ვამბობ, რომ მისი მწვრთნელი ვარ. ამიტომაც ვთვლი, რომ უელსი მოიგებს, თუმცა თქვენი ნაკრები ნაღდად არაა ისეთი გუნდი, მის წინააღმდეგ უეჭველია ნიძლავი რომ დადო... ისე კი, კარგი იქნება, თუ 16 ნოემბერსაც ასეთი თავსხმა მოვა" — გვითხრა 19 ივლისს უელსელთა მწვრთნელმა მაიკ სმიტმა, საქართველო — მალტის თამაშის შემდეგ. თავსხმის რა მოგახსენოთ, მაგრამ ორი დღის ნაწვიმარი მინდორი მეორე ტაიმში წამოსულმა უსიამო თქორმა უფრო აატალახა, თუმცა ამ დროისთვის უკვე გვარიანად გალუმპული, დაოსხებული უელსელები ალბათ მზის ამოსვლას თუ ნატრობდნენ.

„უკეთ შეგვეძლო გვეთამაშა. უამრავი შეცდომა დავუშვით და შინ შერცხვენილები ვბრუნდებით" — ამის თქმაღა მოახერხა სმიტმა მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე. მან ალბათ არ იცოდა, რომ ნოემბერი ბედნიერი თვეა ქართული ფეხბურთისთვის. წლევანდელი 16 ნოემბერი კი იქნებ ოცდაათი წლის წინანდელ 18 ნოემბერსაც აღემატებოდეს თავისი მნიშვნელობით და თბილისის „დინამოს" სხვა გამარჯვებებსაც, იმოდენა რეზონანსი ჰქონდა ევროპის საფეხბურთო სამყაროში.

იღბალი და უელსელთა შეცდომები იქით იყოს, ბოლოსდაბოლოს, შეცდომებიც ქართველებმა დააშვებინეს და უკეთ თამაშის საშუალებაც მათვე არ მისცეს. ნურც იმას მივაქცევთ ყურადღებას, სტუმრებს მეტი კუთხური რომ მოუწოდებიათ და კარშიც მეტჯერ დაურტყამთ — ჯერ ერთი, იმათი დარტყმებისა და კუთხურების უმრავლესობა თამაშის ბოლო 20 წუთზე მოდის; მეორეც, ჩვენებს საქმე კუთხურებამდე არ მიუყვანიათ, მოკლედ რომ მოვჭრათ, ულაპარაკოდ აჯობეს მეტოქეს.

ბულგარელებთან თამაშის შემდეგ ჩივაძემ ერთი ფეხბურთელი შეცვალა: დაშავებული კუდინოვი — გოგრიჭიანით, რომელსაც ნაკრებში აქამდე ერთადერთხელ, 1990 წელს ლიტვასთან ეთამაშა. გოჩამ თავისი ხელმეორე, დებიუტი ბრწყინვალე თამაშით აღნიშნა: ყველა ბურთისთვის მებრძოლს მეტოქის დაცვაც ხომ მუდმივად შეწუხებული ჰყავდა, რითაც შოთა არველაძესაც მოათქმევინა სული; უკანაც დროულად იხევდა და კონტრშეტევების მოწყობაშიც წილს იდებდა, თანაც სამი გოლის უშუალო მონაწილეც გახდა!

ქართველებმა თავიდანვე ფიცხლად და, რაც მთავარია, საზრიანად შეუტიეს. უბურთოდ თამაშმა იმის საშუალება მოგვცა, მოედნის ცენტრი სწრაფად გაგვევლო. უკუდინოვოდ დარჩენილ ნემსაძეს არათუ დაცვის მიხედვა, შემტევთა მიშველებაც არ გაუჭირდა — დაუხანებლად, ერთი შეხებით მწვავე პასებს აგზავნიდა წინ. ქინქლაძემ მას ისე აუბა მხარი, რომ მთელ უელსს თავი ალბათ სამუდამოდ დაახსომა. ამათი პასების ადრესატიც რაღა საძებარი იყო — გოგრიჭიანი ჯარასავით ტრიალებდა და ერთთავად ბურთს ითხოვდა. მატჩის დასაწყისში მოპოვებული უპირატესობა ძირითადად ამ სამი კაცის დამსახურება იყო და კიდევ დაუღალავად მოთარეშე რევიშვილისა, რომელმაც კიდევ ერთხელ გვანახა, რომ წლის ბოლოს დიდებულ ფორმაშია.

პირველ თხუთმეტ წუთში უელსის კარს ოთხჯერ დაემუქრა საფრთხე: მე-5 წუთზე ქინქლაძე-ქეცბაია-არველაძე-ქეცბაიას კომბინაცია საუთპოლმა უვნებელყო; მერე ნემსაძისა და ქინქლაძის პასების შემდეგ შოთას ორჯერ უმტყუნა იღბალმა, ბოლოს კი ქინქლაძემ გოგრიჭიანთან „კედელი" გაითამაშა, მაგრამ მეკარემ მის გემოზე დარტყმა აღარ აცალა.

დღევანდელ ფეხბურთში სამი თავდამსხმელით თამაში და ისიც სტუმრად დიდი ფუფუნება რომაა, ოთხშაბათსაც დადასტურდა. არადა, უელსს ტრავმირებული გიგზის გარდა კიდევ სამი დიდოსტატი ფორვარდი ჰყავს და სმიტსაც სხვა რა ჩარა ჰქონდა. პიუზმა და რაშმა თავდასხმას ვერაფერი არგეს, მათზე ოდნავ უკან და მარჯვნივ მოთამაშე სონდერსი კი ჩიხრაძეს მხოლოდ ერთხელ გაექცა და სამივე ერთად ვერც ნახევარდაცვას დაეხმარა. ბედის ანაბარა მიტოვებულმა ჰორნმა, ფილიპსმა და სპიდმა მოედნის ცენტრში რომ ვერაფერი გააწყეს, ბოლო საშუალება სცადეს: წინ აიწიეს და ქართველთა შეტევების ჩახშობა მათსავე ნახევარზე სცადეს, რაშიც, ცხადია იმავე ნახევარზე მყოფი სამი თავდამსხმელიც მოიშველიეს და თხუთმეტიოდე წუთით თამაშიც გაათანაბრეს. თუმცა, ამ ხნის მანძილზე ჩვენს კარს საფრთხე ერთადერთხელ დაემუქრა: ნელსონის დარტყმას ცხადაძე გადაეფარა. ახლა უელსელთა ბედი იმაზე ეკიდა, რამდენ ხანს გაუძლებდა ზეაგრესიულ თამაშს მათი სამკაციანი ნახევარდაცვა.

ქართველებს მეტოქის ნახევარზე გადასვლა გაუჭირდათ. 25-ე წუთზე ტრიბუნებიდან პირველად დასძახეს „სა-ქარ-თვე-ლო", 31-ზე კი თავისიანების მისაშველებლად ორივე თავდამსხმელმა უკან დაიხია: არველაძემ და გოგრიჭიანმა ჯერ ერთმანეთში გაითამაშეს ბურთი, მერე მეტოქის საჯარიმოს მიახლოებულმა გოჩამ თითქოს მარცხნივ დააპირა პასი, მაგრამ მოულოდნელად საპირისპირო მხარეს მიაწოდა ბურთი რევიშვილს და ამანაც საჯარიმოში ჩააწოდა. აქამდე თითქოს ჩრდილში მყოფი ქეცბაია უელსელებს მარცხნიდან წამოეპარა, და სანამ ნელსონი მისკენ წაიწევდა, ბურთი ცაციით გაისწორა, ჰაერშივე მარჯვენა შეაგება და საუთპოლის ხელსა და კოულმენის თავს შუა, შორეულ ცხრიანში გააძვრინა — ოფიციალურ მატჩში საქართველოს ნაკრების პირველი გოლი დიდი ხნის ნანატრი, მაგრამ ლამაზი კი გამოვიდა.

მერე ჰორნმა ქინქლაძეს იდაყვი სთხლიშა, გიორგის თავისი კაპიტანი, ცხადაძე გამოესარჩლა და მსაჯს შესჩივლა, რისთვისაც მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ალბანეთთან თამაშს გამოაკლდა. ცოტა ხანში ქეცბაია დაშავდა. აქ უელსთან თამაშში წარმოჩენილ ერთადერთ უსიამო ფაქტორს მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას: წინადღით, ოლიმპიური ნაკრებების მატჩისას, ჩვენებმა თითქმის ყველა მჭიდრო ორთაბრძოლა წააგეს. მართალია, ეროვნულმა ნაკრებმა ტოლი ამ მხრივაც არ დაუდო უელსს, მაგრამ ხომ ფაქტია — შეჯახებების შემდეგ ჩვენები ბევრად უფრო ხშირად განერთხებოდნენ ხოლმე მინდორზე და ექიმობაც უფრო ხშირად სჭირდებოდათ. ცხადია, ჩვენი მეტოქეები შტანგასა თუ ტრენაჟორებს უფრო რომ ეტანებიან და ეს ცოდვა ნაკრების მწვრთნელის ბრალი სულაც არაა — უფრო კლუბების მწვრთნელთა და თავად მოთამაშეთა კისერზეა.

ქართველების შეტევები კი ტაიმის ბოლომდე გაგრძელდა. 41-ე წუთზე ნემსაძემ კიდევ ერთი ორთაბრძოლა მოიგო და ქინქლაძე მეკარესთან პირისპირ გაგზავნა — 2:0.

გიორგი ნემსაძე: „გახარებული მივეჭერი ქინქლაძეს, ბიჭებიც შემოგვეხვივნენ. უცებ ვილაცის ბუცი მომხვდა მუხლში და შემომიტრიალა. ძლივს ჩავისვი, ალბათ მენისკია"...

ბედად, გიორგის საქმე ინალიშვილმა გააგრძელა და ნაყოფიერადაც ილვაწა, მეტადრე ბურთის ართმევაში იყოჩაღა.

უელსმა პასუხად უფრო მჭიდრო, უხეშობის ზღვრამდე მისული თამაში გააჩაღა, თუმცა ნირი უკვე წამხდარი ჰქონდათ. ცხადი იყო, შესვენების შემდეგ ანგარიშის შენარჩუნებაზე ფიქრი უფრო მართებდათ — საქმის შემომბრუნებლები აღარ იყვნენ...

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე გოგიჩაიშვილმა და ქეცბაიამაც აიშვეს ფლანგებზე და უელსელებს ბოლო იმედიც გადაეწურათ. 51-ე წუთზე გოგრიჭიანმა საკუთარ საჯარიმომდე დაიხია, გოგიჩაიშვილის თავით მოგერიებული ბურთი მიიღო და უკანვე დაუბრუნა, ამანაც საწინააღმდეგო ფრთაზე ეულად მყოფ ქეცბაიას შეაშველა პასი და ოთხი ქართველი წინ გაიჭრა. თუმურმა არავინ დაიხმარა, საიმონსი მოატყუა და საჯარიმოს კუთხიდან კიდევ ერთხელ შემოატარა ბურთი საუთპოლს — 3:0

აქ კი იკადრეს სტუმრებმა და ღია თამაში გააჩაღეს. აქაც დამარცხდნენ. უელსს წესი შოთამ აუგო და პარაკლისიც მანვე გადაუხადა: ჯერ გოგრიჭიანის ძელს მორტყმული ბურთი მოიგდო და გოჩას დაუბრუნა, მერე კი თავისი გოლიც შეაგდო.

შოთა არველაძე: „მეოთხე გოლზე მცველი ისე დამიდგა, ვიფიქრე, უკეთეს მომენტს ჩემი ფინტისთვის ვერც ვინატრებმეთქი. გოგრიჭიანმაც ოსტატურად გადაუგდო ბურთი მეკარეს. ქინქლაძემ კი კიდევ ერთხელ გამაოცა. რა საოცრად ითამაშა"!

ქინქლაძემ მართლაც ყველა გააოცა — რაგინდარა ჯურისა თუ ტიპის პასები არ შეასრულა! თანაც დაცვის ბრიტანულ წყობას — ოთხნი ხაზზე თუ გავითვალისწინებთ — ოთხეულს უსაქმოდ ტოვებდა, [illegible]



პირდაპირ საუთპოლთან აჭერინებდა საქმეს თავისიანებს.

მეხუთე გოლის შემდეგ უელსს შეტევის საშუალება მიეცა, საქართველოს — დაცვის შემოწმებისა. საქმეში დევაძეც გაერია.

**გიორგი ჩიხრაძე:** „თავიდან რაშს კრძალვით ვუცქერდი. მაინც რაშია-მეთქი და ჯენტლმენურად ვთამაშობდი. როცა ერთი-ორჯერ იდაყვი ამომკრა, მერე იცოცხლე, არაფერი დამიკლია".

ჩიხრაძეს ამ დროისთვის სონდერსთან ურთიერთობა უკვე გარკვეული ჰქონდა, ერთი-ორჯერ წინაც წაიწია და ბოლოს შელიასა და ცხადაძესაც შეეშველა, რომელთაც საქმე საათივით აეწყოთ — შელია ჰაერში ავლებდა მუსრს მეტოქის პასებს, ცხადაძე — მიწაზე. თანაც, უთუოდ მწვრთნელის დამოძღვრილთ, ერთხელაც არ გადაუბიჯებიათ მეტოქის ნახევარზე! არადა ცხადაძეს თვეზე მეტია, „აინტრახტში" აღარ უთამაშია და გუნდის გამოცვლაზეც დაუწყია ფიქრი. თუ იუპ ჰაინკესმა საქართველო — უელსის თამაშს უყურა, ალბათ აწი უფრო დააფასებს საქართველოს ნაკრების კაპიტანს.

**კახი ცხადაძე:** „ბოლოსდაბოლოს ჩვენი გავიტანეთ. ნაკრები მატჩიდან მატჩამდე ზვეწს თამაშს. ყველაზე სასიხარულო ისაა, ახალგაზრდა ბიჭები ასეთ ფეხბურთს რომ თამაშობენ"!

ჩივაძემ გამარჯვება დარბაისლურად შეიფერა — ტელეკამერებისა და ტრიბუნების წინ ყელყელაობა არ დაუწყია — საქმიანი სახით უმალ გასახდელს მიაშურა და მალე პრეს-კონფერენციაზეც გამოგვეცხადა. ერთმანეთს პირველი მოგება მივულოცეთ, თანადგომისთვის მადლობა გამოვუცხადეთ, ნაკრების მწვრთნელმა კი საქართველო — მოლდოვას მატჩთანაც გაავლო პარალელი, ხაზი პირველი გოლის ფაქტორს გაუსვა და კატეგორიული შეფასებებისაგან, უფრო სწორედ კი კატეგორიული კრიტიკისგან თავის შეკავება გვთხოვა, რაღა თქმა უნდა, საერთო საქმის სასიკეთოდ!

ფრიად სასიხარულოა, რომ ნაკრებმა პირველი გოლის გატანაც შეძლო და მერე მონაპოვრის შენარჩუნება-განმტკიცებაც, რაშიც, ჩვენი აზრით მოკრძალებული წვლილი პრესაში გამოთქმულმა საღმა კრიტიკულმა აზრმაც შეიტანა. კრიტიკამ და არა — ლანძღვა-გინებამ. ისიც ხომ ფაქტია, წაგებული თამაშის შემობრუნება მწვრთნელისთვის რომ უფრო სასახელოა და ისიც — ხოტბა და კრიტიკა რომ ძმები არიან, ისევე, როგორც — მოგება და წაგება. ასე რომ, გამარჯვებულისთვის არც მომავალში დავიშურებთ საქებარ სიტყვას, ოღონდ არც დამარცხების მიზეზთა გარეგარე ჩხრეკას შევუდგებით და პირუთვნელად მოგახსენებთ, ცხადია ჩვენ-ჩვენი შე-



ასე უილბლოდ დასრულა კარიერაში საუკეთესო თამაში გიორგი ნემსაძემ

საძლებლობების კვალობაზე და ისევ და ისევ საერთო საქმის საკეთილდღეოდ!

და კიდევ ერთი: აქედანვე ვიტყვით, რომ სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბანეთთან მატჩის ნებისმიერ შედეგს, მოგების გარდა, წარუმატებლად შევაფასებთ! უელსთან თამაში სწორედ მომავალი გამარჯვებების საწინდრად გვჭირდება და არა უბრალოდ, გულის მოსაფხანად. არც იმისთვის, რამდენიმე წლის შემდეგ წარსულს კიდევ ერთხელ რომ შევჯიროთ: გახსოვთ, უელსს 5:0 რომ მოვუგეთ, აბა, ფეხბურთი მაშინ იყო!

16 ნოემბრის მოგებამ უამრავი დივიდენდი მოგვიტანა. თუ გონივრულად გამოვიყენებთ, აბა, ფეხბურთი მერე ნახეთ!

**მამუკა ჩიხლაძე**

**გია ახალაძის**
ფოტოები

## VII ჯგუფი

საქართველო — უელსი 5:0
ბულგარეთი — მოლდოვა 4:1
სტოიჩკოვი (45, 85), ბალაკოვი (64), კოსტადინოვი (87); კლეშჩენკო (59)

საქართველოსთან მატჩისაგან განსხვავებით, ბულგარელებმა სასტარტო შემადგენლობაში პენევი და კოსტადინოვი დაიმატეს და პირველივე წუთიდანვე შეუტიეს. მალე პენევმა გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დაუფიქსირა. მასპინძლებმა მხოლოდ ტაიმის ბოლოს გაიხარეს, როცა სტოიჩკოვმა ორჯერ ზედიზედ დაარტყა და საწადელს მიაღწია. მეორე ტაიმში ბალაკოვმა საჯარიმოს ხაზიდან ჩვეული ოსტატობით შეასრულა საჯარიმო და თითქოს საქმე ამით დამთავრდა, მაგრამ... ჯერ მცველებისა და მიხაილოვის მაიმუნობით ისარგებლა კლეშჩენკომ, მერე კი მსაჯმა ორასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა მასპინძელთა კარში. მოლდოველები ამ უსამართლობამ ისე გაანერვიულა, დარჩენილ რვა წუთში სტოიჩკოვსა და კოსტადინოვს გოლების გატანაში ხელი ვეღარ შეუშალეს.

ალბანეთი — გერმანია 1:2
ალბანეთი: სტრაკოშა, ვატა, ქსუმბა, კაჩაი, ლეკბელო, ზმიიანი (პანო 75), დემოლარი (კოლა 57), მილო, ბელაი, რაკლი, კუშტა
გერმანია: კეპკე, მათეუსი, ბერთოლდი, კოლერი, როიტერი, აილტსი, ზამერი (შტრუნცი 46), ვებერი (დირკ შუსტერი 83), მიოლერი, კლინსმანი, კირსტენი
0:1 კლინსმანი (18), 1:1 ზმიიანი (33), კირსტენი (46)
გაფრთხილება: კაჩაი, ბელაი, პანო, შტრუნცი

ტირანას „ქემალ სტაფას" სტადიონზე 23 ათასი ალბანელი მივიდა იმ იმედით, რომ მათი ნაკრები გაიმეორებდა 1967 წლის შედეგს, როცა გერმანიასთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი 0:0 დაამთავრა. მასპინძლები მართლაც ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ ლედიო პანოს მიერ მატჩის ბოლო წუთზე დარტყმული ბურთი გერმანელთა კარის ძელს მოხვდა, ხუთიოდ წამში კი უკრაინელმა არბიტრმა მელნიჩუკმა საფინალო სასტვენიც მისცა...

გერმანელებს ძირითადი შემადგენლობიდან მხოლოდ ჰესლერი აკლდათ, ვისაც ბოლო ჟამს კბილი აწუხებია. იგი ფოგტსმა დიტერ აილტსით შეცვალა. ჯგუფის ფავორიტებმა ანგარიში მე-18 წუთზე გახსნეს, როცა როიტერის პასი კარგად გამოიყენა კარიდან რვა მეტრში მყოფმა კლინსმანმა. ალბანელებმა, რომელთა შემადგენლობაშიც ყველა ლეგიონერი თამაშობდა, 15 წუთში აღადგინეს წონასწორება, როცა საუდის არაბეთის ერთ-ერთ კლუბში მოთამაშე ზმიანიმ მშვენივრად შეასრულა საჯარიმო, კოლერის მიერ ლეკბელოს წაქცევისთვის რომ დაინიშნა. სტუმრებმა მეორე ტაიმის დაწყებისთანავე შეუტიეს და 25 წამში კირსტენმა მეორე გოლი შეაგდო. მერე ალბანელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ზემოთ ნახსენები მომენტის გარდა ვერა შექმნეს რა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 3 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| მოლდოვა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-6 | 6 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 5-3 | 3 |
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| უელსი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-8 | 3 |
| ალბანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

ნლეულს ითამაშებენ: 14 დეკემბერი. ალბანეთი — საქართველო, უელსი — ბულგარეთი, მოლდოვა — გერმანია; 18 დეკემბერი. გერმანია — ალბანეთი

## I ჯგუფი

პოლონეთი — საფრანგეთი 0:0
აზერბაიჯანი — ისრაელი 0:2 (ტრაპიზონში)
ხარაზი (30), როზენტალი (51)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| ისრაელი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 3 | 0 | 0-0 | 3 |
| სლოვაკეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |

ნლეულს ითამაშებენ: 14 დეკემბერი. აზერბაიჯანი — საფრანგეთი, ისრაელი — რუმინეთი

## II ჯგუფი

ბელგია — მაკედონია 1:1
ვერპეინი (32); ბოსკოვსკი (53)
ესპანეთი — დანია 3:0
ნადალი (41), დონატო (56), ლუის ენრიკე (87)
კვიპროსი — სომხეთი 2:0
ა. სოტირიუ (7), ფასულიოტისი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 9 |
| კვიპროსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| ბელგია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| დანია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 4 |
| მაკედონია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-4 | 2 |
| სომხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |

ნლეულს ითამაშებენ: 17 დეკემბერი. მაკედონია — კვიპროსი, ბელგია — ესპანეთი

## III ჯგუფი

შვეიცარია — ისლანდია 1:0
ბიკელი (45)
შვედეთი — უნგრეთი 2:0
ბროლინი (44), დალინი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| შვედეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| თურქეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 7-2 | 4 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| ისლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

ნლეულს ითამაშებენ: 14 დეკემბერი. თურქეთი — შვეიცარია

## IV ჯგუფი

სლოვენია — ლიტვა 1:2
ზაპოვიჩი (35); სუკრისტოვი (51), ჟუტა (87)
იტალია — ხორვატია 1:2
დ. ბაჯო (94); შუკერი (32, 60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 3 | 0 | 0 | 6-1 | 9 |
| ლიტვა | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| უკრაინა | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| სლოვენია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

## V ჯგუფი

ბელარუსი — ნორვეგია 0:4
ბერგი (34), ლეონარდსენი (39), ბოპინენი (52), რეკდალი (82 პ)
პოლანდია — ჩეხეთი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-1 | 5 |
| პოლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 5-1 | 5 |
| ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| მალტა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-6 | 1 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

ნლეულს ითამაშებენ: 14 დეკემბერი. მალტა — ნორვეგია, პოლანდია — ლუქსემბურგი

## VI ჯგუფი

ლიხტენშტეინი — ლატვია 0:1
ბაბიჩევი (14)
ჩრდ. ირლანდია — ირლანდია 0:4
ოლდრიჯი (6), კინი (11), შერიდანი (38), თაუნსენდი (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 11-0 | 9 |
| პორტუგალია | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| ჩ. ირლანდია | 4 | 2 | 0 | 2 | 7-8 | 6 |
| ავსტრია | 3 | 1 | 0 | 2 | 5-3 | 3 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| ლიხტენშტ. | 4 | 0 | 0 | 4 | 1-13 | 0 |

ნლეულს ითამაშებენ: 18 დეკემბერი. პორტუგალია — ლიხტენშტეინი

## VIII ჯგუფი

შოტლანდია — რუსეთი 1:1
ბუსი (19); რადჩენკო (25)
საბერძნეთი — სან მარინო 2:0
მახლასი (21), ფრანცეკოსი (84)
ფინეთი — ფარერები 5:0
სუმიალა (37), ლიტმანენი (51 პ, 71), პაატელაინენი (75, 85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 11-1 | 9 |
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 8-2 | 7 |
| რუსეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| ფინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |
| ფარერები | 3 | 0 | 0 | 3 | 2-15 | 0 |

ნლეულს ითამაშებენ: 14 დეკემბერი. ფინეთი — სან მარინო; 18 დეკემბერი. საბერძნეთი — შოტლანდია

# ხერხი ვერა სჯობს ღონესა



ზაზა ჯანაშიამ თავი კარგი თამაშითა და ცუდი საქციელით გამოიჩინა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი.
VII შესარჩევი ჯგუფი

### საქართველო 1:2 უელსი

საქართველო: ჯანელიძე, გოგიტიძე (რეხვიაშვილი 36), ბურნაძე (ასპინძელაშვილი 72), პაპიძე, ბუცურეიშვილი, კიკნაძე, ლუდუშაური, მუჯირი, ჯანაშია, ანჩაბაძე, ა. არველაძე
უელსი: კოინი, უილიამსი, ბრეისი, პეიჯი, ედვარდსი, პიუზი, ჯოუნზი, დევისი, არტენსი, ტეილორი, ტვიდი (ბერდი 46)
0:1 ტვიდი (4), 0:2 ჯოუნზი (51), 1:2 ანჩაბაძე (57 პ)
გაფრთხილება: პეიჯი, ბუცურეიშვილი, რეხვიაშვილი.
გაძევება: ჯანაშია (78)
მსაჯები: ჩელიქი, სუიაბაქანი, იურდიური (თურქეთი)

ჩვენმა ახალგაზრდულ-ოლიმპიურმა ნაკრებმა წააგო გუნდთან, რომლის მოთამაშეები, გულშემატკივრის ენაზე რომ ვთქვათ, კაცის მოსატყუებლად თავს არ იკლავდნენ, სამაგიეროდ, ფიზიკურად საუცხოოდ (რა თქმა უნდა, ასაკის გათვალისწინებით) იყვნენ მომზადებული, მოქმედებდნენ გამოკვეთილი ტაქტიკით და მოგების დიდი ჟინითაც გამოვიდნენ მინდორზე. არცერთი ზემოჩამოთვლილი კომპონენტი ჩვენს გუნდს არ ჰქონდა. ჩვენები შებორკილნი ჩანდნენ და ისეთ ელემენტარულ შეცდომებს უშვებდნენ, იფიქრებდი ფეხბურთს პირველად თამაშობენო. ამგვარი სწორედ უხეში შეცდომების შემდეგ გავიდა ორივე გოლი ჩვენს კარში. ჩვენებიდან მხოლოდ ჯანაშიასა და არჩილ არველაძის გამოყოფა თუ შეიძლება: დრო და დრო მათი სოლო იერიშები თუ არღვევდა ხოლმე საკმაოდ თავდაჯერებულ უელსელთა რიგებს.

გამოუცდელობისა და უპასუხისმგებლობის შედეგი იყო ჯანაშიას გაძევება: პეიჯი „ტექნიკურად", მსაჯთაგან მალულად უხეშობდა, ჯანაშიას კი ეგონა, „ხურდის დაბრუნება" აქაც ისე შემრჩება, როგორც საქართველოს პირველობაზეო და...გუნდი ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში დაალალატა, მაყურებელთა ნაწილმა კი, იმის ნაცვლად, თავისი აღშფოთება გამოეხატა, ტაშიც კი დაუკრა გაძევებულს!

სიტყვამ მოიტანა და, მაყურებელზეც: კაცს ტრიბუნაზე ამტყდარი ალიაქოთი და მავანის „სადაც ჯერ არს", იქ „წაბრძანება" როგორ უნდა გაგიხარდეს, მაგრამ პოლიციის „ყურადღება" ალალი იქნებოდა იმ ჯეელებზე, შესვენებაზე მსაჯს რომ ხილი ესროლეს, მეორე ტაიმში კი ზედა იარუსზე რაღაც ააფეთქეს თუ ისროლეს. არა მგონია ეს შემთხვევები მხოლოდ სიანცე იყოს.

ერთი სიტყვით, ჩვენმა ჭაბუკებმა თამაში მატჩამდე წააგეს. ალბათ მწვრთნელები სწორედ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მომზადებაზე გაამახვილებენ ყურადღებას, რათა დარჩენილი თეორიული შანსიდან მაქსიმალური გამოწურონ.

**შოთა ჭეიშვილი:** უელსელთა მოგებაში უდიდესი როლი ითამაშა მათმა ფიზიკურმა სიძლიერემ, „სწრაფმა" პირველმა გოლმა კი კიდევ უფრო გააძლიერა მათი პოზიციები. თავის მართლებად არ ჩამითვალოთ, მაგრამ ჩვენს ბიჭებს ამგვარი საერთაშორისო მატჩების გამოცდილება აკლიათ, უელსელებს კი პირიქით. აშკარად გამოჩნდა, რომ ჩვენზე გაცილებით ბალანსირებული გუნდი იყო.

— ჯანაშიას საქციელი ღალატის ტოლფასია. ჩემი აზრით, დარჩენილ თორმეტ წუთში შეიძლებოდა გარდატეხის შეტანა.

— მატჩის წაგებაში, ცხადია, მეც ძალიან ბრალეული ვარ: „ვერ გამოვიცანი" ჩვენი გუნდის სასტარტო შემადგენლობა, უპირატესობა კარში ჯანელიძეს მივანიჭე, შევცდი დაცვის დაკომპლექტებაშიც.

— ფსიქოლოგიური მომზადების თვალსაზრისითაც, რამდენი არ ვეცადე, მეტოქის კომპლექსი ბიჭებს ვერაფრით მოვუხსენი. სამწუხაროდ, ვერ მივიღეთ ვიდეომასალა მოლდოვა-უელსის მატჩის შესახებ. მოლდოველებმა პირი გვიტეხეს.

— მსაჯის შეფასება ჩემი საქმე არაა, თუმცა მათ მიმართ პრეტენზიები არა მაქვს. ისე, ამ თურქებმა თითქოს დაგვთარსეს.

— შორიდან დარტყმაზე ვამახვილებდით ყურადღებას, მაგრამ რად გინდა, ჩვენები კვლავაც მინი-ფეხბურთს თამაშობენ.

— მამია ჯიქია ავსტრიაშია და მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ.

— წაგების მიუხედავად, მაინც გვაქვს ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვების თეორიული შანსი.

— ჯანაშიას კატეგორულად ავუკრძალეთ ფლანგზე გადასვლა, შესვენებაზეც ვუთხარით, მაგრამ არ შეისმინა.

— ჩვენ ფაქტიურად ეროვნული ნაკრების „ნარჩენებიდან" ვიყვანთ ფეხბურთელებს, არადა ქინქლაძე და შოთა არველაძე რომ გვყოლოდა...

**მამუკა ქვარაცხელია**

# თამაშამდე...

უელსის ნაკრების თბილისში ჩამოსვლას ერთი უსიამოვნო ისტორია უძღვოდა. „სარბიელის" მკითხველებს გეხსომებათ, რომ თავდაპირველად მეტოქის ავიაკომპანია „ორბის" თვითმფრინავით ჩამოსვლაზე იყო ლაპარაკი. როდესაც „ორბი" ლონდონში ბინადადებული ფირმა „ჯორჯიან ბიზნეს ტრევალ ლიმიტიდან" (ეს ნახევრადქართული ფირმა სთავაზობდა უელსელებს „ორბით" საქართველოში ჩაყვანას) ვაჭრობისას ვერ მორიგდნენ, ზემოხსენებულმა შუამავალმა უკრაინული ან რუსული ავიაკომპანიის ძებნა დაიწყო. მოიძია კიდეც, მაგრამ რადგანაც საქართველოს ავიაციის დეპარტამენტიდან თბილისის აეროპორტში დაჯდომის ნებართვა რამდენიმე დღით დაუგვიანეს და 8 ნოემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ჩარევის შემდეგღა აღირსეს, ასეთი რამ მოიწერა: უკვე ძლიერ გვიან არის, უელსელები ვეღარ ჩამომყავს და სამწუხაროდ, თამაში ჩაიშალაო. ქართული ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას ასეთი პასუხი დიდ ნერვიულობად დაუჯდა, საქმეში საქართველოს ხელისუფალნიც ჩარია, თანაც 10 ნოემბერს უელსის ფეხბურთის ასოციაციას მისწერა, თქვენი მგზავრობის საქმე მგონი მთლად კარგად ვერ არისო. თურმე უელსელებს ამაზე არაფერი სცოდნიათ და დამშვიდებულნი, წითელი მაისურებით გეთამაშებითო, ჩვენებს ამას უთანხმებდნენ. 11 ნოემბერს საქმე სახელმწიფოს მეთაურამდე უნდა მისულიყო, რომ უელსიდან დარეკეს, ყველაფერი გავარკვიეთ და ინგლისური ავიაკომპანიის თვითმფრინავით მოვფრინავთო.

არეულობის დროს საქმეს ვერ უძღვებოდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, რომელმაც აპენდიციტის ექვსსაათიანი ოპერაცია გაიკეთა ქირურგიის ინსტიტუტში.

...მეტოქის თვითმფრინავი საქართველოს ჩაბნელებულ დედაქალაქში ორი საათის დაგვიანებით დაეშვა. ტრაპზე ჩამომავალ უელსურ ლანდებს შორის რაიან გიგზის სილუეტი ვერ შევნიშნეთ და მყისვე მოვიკითხეთ. თურმე ოთხი დღით ადრე ორი მანჩესტერული გუნდის, „იუნაიტედისა" და „სიტის" შეხვედრაში, სიტელებს გიგზი დაუშავებიათ და იგი ნაკრებს კვლავ გამოაკლდა. თავდაპირველად უელსის მთავარ მწვრთნელს მაიკ სმიტს გამოველაპარაკეთ: „სტუმრად მოგება ძნელია, მაგრამ საამისოდ ყველა ღონეს ვიხმართ. საქართველოს ბულგარეთში ნათამაშები ძალიან მომეწონა. თქვენს გუნდს კარგად ვიცნობ".

**მარკ ჰიუზი:** თქვენს ნაკრებზე ბევრი რამ არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ მოსაგებად ძალღონეს არ დავიშურებთ. ანგარიშისა კი წინასწარ რა გითხრათ"...

**იან რაში:** საქართველო კარგი გუნდია. მეტისმეტად რთული მატჩი გველის. მოლდოვასთან წაგების შემდეგ მოგება გვჭირდება. ანგარიში ჩემთვის სულერთია, მთავარია, სამი ქულა მოვიპოვოთ.

**დინ სონდერსი:** უმნიშვნელოვანესი თამაში გველის. 1:0 რომ მოვიგოთ, სავსებით საკმარისი იქნება. წინა ორი მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოვტოვე, ახლა კი თამაშის ნება მაქვს და იმედია ერთ გოლს მაინც გავიტან.

ფეხბურთელები სასტუმრო „მეტეხისკენ" გაემართნენ, მათი მთავარი მწვრთნელი კი აეროპორტში დარჩა და სანამ ჟამტვირთავო ავიასადგურში, მთელი ბარგი-ბარხანა, რომელშიც სამი დღის საჭმელ-სასმელიც იყო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად ავტობუსში არ ჩატვირთა, იქედან ფეხი არ მოიცვალა. ბრიტანელ სტუმრებს „მეტეხიც" ჩაბნელებული დაუხვდათ. ერთი თუ ორი ადგილობრივად გამოკვებილი ნათურა ფოიეს თუ ანათებდა, თუმცა ოც წუთში შუქი აინთო. დაბინავებამ დრო წაიღო და უელსის გუნდმა ეროვნულ სტადიონს ღამის პირველის ნახევარზეღა მიაღწია. ვარჯიშმა ერთ საათს გასტანა. სტუმრებმა მეორე დილით „შევარდენზეც" ივარჯიშეს.

# არცერთი სიტყვა თამაშზე



კარგა ხანია, თბილისი ასეთ საფეხბურთო ვარსკვლავთცვენას არ შესწრებია. რაშის, პიუზისა თუ სონდერსის სახელების გაგონება ევროპულ გრანდებსაც კი აშინებთ, ჟურნალისტებისთვის კი ასეთი ვიზიტების ხელიდან გაშვება სამსახურიდან დათხოვნის ტოლფასია. არც „სარბიელი" აპირებდა მკითხველთა იმედების გაცრუებას და...

დემირელის თბილისში სტუმრობაზე ნაირგვარი ჭორები დადის. არ ვიცით, მოუტანა თუ არა ამ ვიზიტმა საქართველოს რაიმე ხეირი, ჩვენ კი კინაღამ საათივით აწყობილი საქმე ჩაგვიშალა. იან რაშიც და მარკ პიუზიც სამშაბათ დილით შევიპირეთ ინტერვიუზე — სადილის შემდეგ ვისაუბროთო, სადილობის ხანს კი თურქეთის პრეზიდენტის პატივსაცემად გამართული ბანკეტის გამო „მეტეხი", მისი სპეცსამსახურის თანამშრომელთა ენით რომ ვთქვათ, „რეჟიმზე" გადავიდა და სასტუმროში ჩვენი გაჩერებაც შეუძლებელი შეიქნა. მოკლედ, მხოლოდ საღამოს 9 საათისთვის მოხერხდა ჩვენი მიახლოება „მეტეხთან", უშიშროებაც დავარწმუნეთ, რომ სახელმწიფოს ჩვენგან არა ემუქრებოდა რა და უელსელ ვარსკვლავებს სულზე მივუსწარით: თხუთმეტ წუთში დღის რეჟიმით მათ უკვე ძილი უწევდათ, ამიტომაც დაგეგმილი კითხვების რაოდენობა ერთიორად შემცირდა, თან, შეპირებისამებრ, მომავალ თამაშზე სიტყვა არ დაგვიძრავს.

გასაუბრება თამაშის მერეც გვსურდა, მაგრამ რაღას დაგველაპარაკებოდნენ...

## იან ჯეიმს რაში

სიმაღლე 184 სმ, წონა 76 კგ

კარიერა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1978-79. | „ჩესტერი" | 1 მატჩი | |
| 1979-80. | „ჩესტერი" | 33, | 14 გოლი |
| 1980-81. | „ლივერპული" | 7, | — |
| 1981-82. | „ლივერპული" | 32, | 17 |
| 1982-83. | „ლივერპული" | 34, | 24 |
| 1983-84. | „ლივერპული" | 41, | 32 |
| 1984-85. | „ლივერპული" | 28, | 14 |
| 1985-86. | „ლივერპული" | 40, | 23 |
| 1986-87. | „ლივერპული" | 42, | 30 |
| 1987-88. | „იუვენტუსი" | 29, | 7 |
| 1988-89. | „ლივერპული" | 24, | 7 |
| 1989-90. | „ლივერპული" | 36, | 18 |
| 1990-91. | „ლივერპული" | 37, | 16 |
| 1991-92. | „ლივერპული" | 18, | 3 |
| 1992-93. | „ლივერპული" | 31, | 14 |
| 1993-94. | „ლივერპული" | 22, | 7 |

— იან, თქვენს შესახებ გამოქვეყნებული წერილებით თუ ვიმსჯელებთ, რაში და „ლივერპული" განუყრელი ცნებებია. იმასაც წერენ, იმთავითვე მხოლოდ „ლივერპულში" სურდა თამაშიო...

— ყმაწვილობაში „ჩესტერ სიტიდან" „ლივერპულში" გადავედი და თოთხმეტი წელი ამ გუნდში გავატარე. კარიერის დასრულებაც აქვე მსურს. ისიც მართალია, რომ თავიდანვე ლივერპულელობა მინდოდა, რადგან ამ გუნდს იმთავითვე კარგად ვიცნობდი.

— მართალია, თქვენზე რომ ამბობენ, იმდენად ლივერპულელია, სხვა გუნდში ასე ბრწყინვალედ ვერც ითამაშებდაო?

— არა, ბევრ გუნდში შემეძლო კარგად მეთამაშა, მაგრამ ლივერპული სხვაა, იქ უამრავი მეგობარი მყავს. ისე კი, ლივერპულის გარდა სხვაგანაც მიცხოვრია და სადაც ვყოფილვარ, თავს ყველგან ბედნიერად ვგრძნობდი.

— ერთი სეზონი „იუვენტუსშიც" გაატარეთ და რამდენადაც ცნობილია, იმ სეზონს თქვენთვის იღბლიანი არ ეთქმოდა.

— „იუვენტუსი" მაშინ კარგი გუნდი არ იყო. ექვსი ახალწვეული პყავდათ. თანაც, მე სხვაგვარად თამაში მიწევდა. „ლივერპულში" ჩემი საქმე გოლების გატანა იყო, ტურინში კი სხვა ფეხბურთი მომთხოვეს, რამაც ჩემს ბომბარდირობას ხელი შეუშალა.

— თქვენი ტურინული უიღბლობა ხომ არ იყო რამენაირად „ეიზელის" ტრაგედიასთან დაკავშირებული?

— არა, „ეიზელთან" საერთო არაფერი ჰქონდა. იტალიელები კარგი ხალხია და კარგი გულშემატკივრებიც ჰყავთ. უბრალოდ, „იუვენტუსის" მაშინდელ ფეხბურთელებს მათი დაკმაყოფილება არ შეეძლოთ.

— იმასაც ამბობენ, რაშმა იტალიური ვერაფრით ისწავლაო.

— მხოლოდ სამი თვე გამიჭირდა, მერე ენა ვისწავლე და პრობლემა აღარ მქონია. საქმე ის გახლდათ, რომ, თუ ვაგებდით, ხალხი ამბობდა, რაშმა იტალიური არ იცისო, ხოლო თუ ვიგებდით, საპირისპიროს ამტკიცებდნენ.

— ორჯერ „ლივერპულში" მწვრთნელად თქვენი ყოფილი თანაგუნდელი დანიშნეს. მათი ხელმძღვანელობით მუშაობა ხომ არ გაგჭირვებიათ?

— კენი დალგლიში ჩემი ახლო მეგობარია. ერთად რომ ვთამაშობდით, ორივენი თავდამსხმელები ვიყავით და ერთმანეთის საუცხოოდ გვესმოდა. ასევე გაგრძელდა მისი მწვრთნელობის დროსაც. გრემ საუნესიც კარგი ბიჭია. პრობლემა არც მასთან შემქმნია და საერთოდაც, ყოფილი თანაგუნდელის მწვრთნელობაში სირთულეს ვერ ვხედავ. ფეხბურთელი ვალდებულია მწვრთნელს პატივი სცეს და მისი მითითება შეასრულოს. თანაც, ყოფილმა ფეხბურთელებმა კარგად იციან, როგორ მოექცნენ მოთამაშეს. თავის მხრივ, მოთამაშემაც იცის, რომ მისი ყოფილი თანაგუნდელი ახლა მწვრთნელია... ესეც რომ არა, ვინმე ხომ უნდა იყოს მწვრთნელი და ბარემ თანაგუნდელი იყოს.

— საკლუბო შეჯიბრებებში თქვენ უდიდესი მიღწევები გქონდათ, ნაკრებში კი არ გაგმართლებიათ. რა არის უელსის გუნდის პრობლემა?

— ნაკრებში ჩვენი პრობლემა დაცვაა. მართალია, ბრწყინვალე თავდამსხმელები გვყავს, მაგრამ მთლიანობაში კარგი გუნდი ვერ ვართ. ბევრჯერ ისეც ყოფილა, რომ გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით, მაგრამ იღბალმა გვიმტყუნა. მე მგონი, ახლა ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელად კარგი შანსი გვაქვს და ძალის მოკრება და ერთიან გუნდად შეკვრა გვმართებს.

— წინა სეზონში, უელსის ნაკრების მთავარ მწვრთნელად ჯონ ტოშაკი რომ დანიშნეს, თქვენ განაწყენებულხართ. მართალია?

— არა, ეს მართალი არ არის. მე ტოშაკთან პრობლემა არ მქონია, მას თავად ჰქონდა პრობლემები, კერძოდ ის, რომ ვერც ნაკრებს გაუძლვა ხეირიანად და ვერც კლუბში მუშაობით დაიკვეხნიდა. მაშინ, უბრალოდ, გუნდიდან ჩემით წავედი, სანამ ამას ტოშაკი მეტყოდა.

— იან, თქვენ ცხრა და-ძმა გყავთ. სად მოღვაწეობენ ისინი, რომელიმე მათგანი ფეხბურთელი ხომ არ არის?

— მე ბოლოსწინა შვილი ვარ, ასე რომ, რვანი ჩემზე უფროსები არიან. ცხადია, ახლა აღარ, მაგრამ ადრე სამი ძმა თამაშობდა, თუმცა უმაღლეს დონეზე არასდროს უასპარეზიათ. დები გათხოვილები არიან. მყავს უამრავი ძმისწულ-დისწული, რომელთა შორის უფროსი უკვე თვრამეტი წლისაა. ისინი ხშირად მესტუმრებიან ხოლმე. ერთ-ერთ მათგანს, თოთხმეტი წლისას, ისეთი პირი უჩანს, რომ ძალიან კარგი ფეხბურთელი უნდა დადგეს.

— საკუთარი ოჯახი თუ გყავთ?

— დიახ, მე ორი ვაჟი მყავს.

— ადრე გითქვამთ, რომ თქვენი საყვარელი ჩოგბურთელი ბიორნ ბორგია. პირადად თუ იცნობთ?

— არა, არ ვიცნობ. მხოლოდ ერთხელ შევხედი. როდესაც თამაშობდა, დიდებული სანახავი იყო.

— შარშან, უელს-რუმინეთის მსოფლიოს ჩემპიონატის გადამწყვეტი შესარჩევი მატჩის დროს ტრიბუნაზე გულშემატკივარი დაიღუპა. თქვენზე ამ შემთხვევას ძლიერ უმოქმედია. საერთოდ, გარემოს მიმართ მგრძნობიარე ხართ?

— ეს უელსისთვის მეტად მნიშვნელოვანი მატჩი იყო. ჩვენ დავმარცხდით და მსოფლიოს ჩემპიონატზე რუმინეთი გაემგზავრა, მაგრამ თამაშის მერე ტრაგედიის ამბავი რომ გავიგე, წაგებამ მნიშვნელობა დაკარგა. ასეთ შემთხვევაში კაცი ხვდები, რომ ფეხბურთი უმთავრესი არ არის, სიცოცხლე უფრო მნიშვნელოვანია. ძლიერ ვწუხვარ ამ ტრაგედიის გამო, ვწუხვარ გულშემატკივრის დაღუპვასა და მისი ოჯახის ბედს.

— ისიც გვსმენია, რომ ერთ-ერთ სატელევიზიო პოლიტიკურ გადაცემას არ სწყალობთ. ზოგადად, პოლიტიკის მიმართ როგორ ხართ განწყობილი?

— არა მგონია, პოლიტიკური გადაცემების გამუდმებით ცქერა საჭირო იყოს, მაგრამ რაიმე: ის, თუ როგორ და რითი ცხოვრობს დღეს მსოფლიო, კაცმა უნდა იცოდე.

— იან, ამდენი ხანია ფეხბურთს თამაშობთ. არ მოგბეზრდათ?

— ეს ჩემი ცხოვრებაა. მე ყოველთვის მსიამოვნებდა ფეხბურთის თამაში. ფეხბურთელი რომ არ გამოვსულიყავი, არც კი ვიცი, რა გზას დავადგებოდი. შევეცდები, რაც შეიძლება დიდხანს ვითამაშო.

— შემდეგ?

— იმედი მაქვს, რომ ფეხბურთში დავრჩები. მინდა „ლივერპულში" მენეჯერი ან მწვრთნელი გავხდე. თუ ვერ მოვახერხე, ვეცდები სხვა გუნდში მოვეწყო.

ილია ბაბუნაშვილი
ზურაბ მეძველია

## ლესლი მარკ ჰიუზი

სიმაღლე 179 სმ, წონა 81 კგ

კარიერა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1983-84. | „მანჩესტერ იუნ." | 11, | 4 |
| 1984-85. | „მანჩესტერ იუნ." | 38, | 16 |
| 1985-86. | „მანჩესტერ იუნ." | 40, | 17 |
| 1986-87. | „ბარსელონა" | 28, | 4 |
| 1987-88. | „ბაიერნი" | 18, | 6 |
| 1988-89. | „მანჩესტერ იუნ." | 38, | 14 |
| 1989-90. | „მანჩესტერ იუნ." | 37, | 13 |
| 1990-91. | „მანჩესტერ იუნ." | 31, | 10 |
| 1991-92. | „მანჩესტერ იუნ." | 39, | 11 |
| 1992-93. | „მანჩესტერ იუნ." | 41, | 15 |
| 1993-94. | „მანჩესტერ იუნ." | 36, | 12 |

— მარკ, დაკვირვებული ვართ: როცა „მანჩესტერი" „ბარსელონას" ხვდება, თქვენ განსაკუთრებულად კარგად თამაშობთ და გადამწყვეტი გოლებიც გაგაქვთ...

— მართალია. როცა „მანჩესტერ იუნაიტედს" რთული და მნიშვნელოვანი მატჩები აქვს, მაშინ ზომაზე მეტს ვინდომებ და თავის გამოჩენაც მიყვარს. „ბარსელონასთან" ნებისმიერი შეხვედრა უმნიშვნელოვანესია და სხვა გზა არა მაქვს, გოლები გამაქვს. ასე იყო სამი წლის წინ, თასების თასის ფინალში, როცა „მანჩესტერ..ან" ორივე გოლი მე გავიტანე და თასი მოვიგეთ. ასევე მოხდა ერთი თვის წინ, ჩემპიონთა ლიგაში — ანგარიში ჩემი დარტყმის შემდეგ გათანაბრდა.

— თქვენ „ბარსელონაში" თამაშობდით და იქ ფეხი ვერ მოიკიდეთ. გაბრაზებული ხომ არა ხართ კატალონიელებზე?

— სრულებითაც არა. უბრალოდ, დიდ გუნდებთან ბოლომდე ვიხარჯები. ისე, როცა ახალგაზრდა ვიყავი, ღმერთმა მარგუნა „ბარსელონაში" თამაშის შანსი. ჩემი დაუდევრობის გამო ეს შანსი ხელიდან გავუშვი და „ბარსელონა" რა შუაშია...

— ბავშვობაში ვიოლინოზე უკრავდით. როდის გადაწყვიტეთ მუსიკის მიტოვება და ფეხბურთელად გახდომა?

— ბავშვობაში ორივე საქმეს მსურდა გავყოლოდი. როცა ახალგაზრდა ხარ, ენთუზიაზმი მეტი გაქვს, ყველაფერი გინდა მოასწრო და გააკეთო. ვიოლინოზე დაკვრა მძიმე საქმე იყო, ბევრ ენერგიას მართმევდა, ამიტომაც, რაც უფრო მეხალისებოდა, ის პროფესია ავირჩიე. ახლა, სიბერეში, სულაც არ ვნანობ, რომ ასე მოვიქეცი.

— თქვენზე ამბობენ, ბევრ ლუდს სვამსო...

— ჩემზე ბევრ რამეს ამბობენ, ათასგვარ ჭორს მიგონებენ, მაგრამ ყველაფრის დაჯერება კი არ შეიძლება. ლუდს ჩვეულებრივ ადამიანზე ნაკლები დოზით ვსვამ.

— თქვენს ავტობიოგრაფიულ წიგნში „სპარკი" აღწერილია შემთხვევა, როცა ბარსელონის ერთ-ერთ ბარში ლუდს ჩაუჯექით და მეორე დღეს ვეღარ ივარჯიშეთ...

— დიახ, იყო ასეთი შემთხვევაც. მერე რა მოხდა? მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ცოლ-შვილი იქ არ მყავდა. თავისუფალ დროს უელსიდან ჩამოსულ მეგობართან ერთად ერთი კათხა ლუდი შევსვი. აბა, ახალგაზრდა კაცს სხვა რა უნდა ექნა?

— დედათქვენი მკერავი იყო. ბავშვობაში მისი შეკერილი ტანსაცმელი გეცვათ?

— არა, დედაჩემი ქალების მკერავი იყო და ინგლისის ერთ-ერთ უდიდეს სამკერვალო ფირმაში მუშაობდა. სამწუხაროდ, ჩემი სამოსის შესაკერად ვეღარ იცლიდა.

— ახლა რომელი ფირმის ტანსაცმლით იმოსებით?

— ბევრი ფირმის ნაწარმი მომწონს, მაგრამ ყველას „ბოსს" ვამჯობინებ.

მერაბ რატიშვილი

### გოჩა გოგრიჭიანი

დაიბადა 1964 წლის 12 აგვისტოს გუდაუთაში.

პირველი მწვრთნელი — ვოვა შამბა.

სწავლობდა როსტოვის სპორტინტერნატში.

1983-87 წლებში თბილისის „დინამოში" ჩაატარა 39 მატჩი (1 გოლი). თამაშობდა ლანჩხუთის „გურიაში" (1988), სოხუმის „დინამოში" (1989. 25 გოლი), „ცხუმში" (1990-91. 61 მატჩი, 33 გოლი), სოჭის „ჟემჩუჟინაში" (1992. I ლიგა. 23 გოლით საუკეთესო ბომბარდირი. 1993. უმაღლესი ლიგის I წრის საუკეთესო ბომბარდირი 13 გოლით). 1993 წლიდან ნიქოზიის „ომონიაშია".

ეროვნულ ნაკრებში 2 მატჩი (1 გოლი)



# სიტყვის კაცის დაუვიწყარი დღე

მოედანზე გასული გოგრიჭიანი რომ დავინახე, 1991 წლის ცივი იანვარი გამახსენდა — სოხუმის „ცხუმის" სეზონისწინა მზადება ეშერის სპორტბაზაზე. მაშინ გოჩასგან ვრცელი ინტერვიუ ავიღე. კითხვაზე, ნაკრებზე თუ ფიქრობ-მეთქი, გოგრიჭიანმა მიპასუხა, ეს ჩემი ოცნებაა და ისიც ძალიან მინდა, პირველი მატჩი რუსეთის ნაკრებთან ვითამაშოთო. შესაძლოა მალე ეს ოცნებაც აუხდეს, მანამდე კი თამამად შეუძლია იამაყოს უელსელთა წინააღმდეგ ბრწყინვალე თამაშითა და ლამაზი გოლით.

როდესაც ბიჭებს გამარჯვებას ვულოცავდი, გუნებაში გამკრა, ნაკრებიდან ხუთი კაცი ხომ აფხაზეთიდან არის მეთქი და გოგრიჭიანს ეშერა გავახსენე. მანაც ღიმილით მითხრა, ხომ ხედავ, სიტყვის კაცი ვყოფილვარო.

**— პირველ ყოვლისა, გილოცავ ბრწყინვალე გამარჯვებას და ლამაზ გოლს.**

— დიდი მადლობა, ეს ჩემთვის მართლაც დაუვიწყარი დღე იყო.

**— ნაკრებს ყველაზე გვიან შენ შეუერთდი, მაგრამ ისე ჩანდა, თითქოს მთელი ცხოვრება ამ ბიჭებთან ერთად გაგიტარებია მინდორზე.**

— ჩემი გამოცდილების კაცს ასეთ ნიჭიერ თაობასთან შეწყობა რატომ უნდა გაჭირვებოდა?

**— თამაშამდე წინათგრძნობა ხომ არ გქონდა, რომ გოლს გაიტანდი?**

— გოლი ის უნდა გასულიყო, ძელს რომ მოხვდა, მაგრამ სამართალმა უმალ ჭამა პური, როდესაც შოთა არველაძის ჩინებული პასი მივიღე.

**— შენს კლუბ „ომონიას" როგორ მისდის საქმეები კვიპროსის ჩემპიონატში?**

— 11 ტურის შემდეგ 28 ქულით მესამე ადგილზე ვართ. პირველი „ანორთოსისია" 31 ქულით, მეორე — „ეთნიკოსი". მე რვა მატჩში შვიდი გოლი გავიტანე.

**— რატომ რვა მატჩში?**

— სამი თამაში ტრავმის გამო გამოვტოვე. კუნთი გამიწყდა და მარჯვენას კარგად ჯერაც ვერ ვხმარობ. რამდენიმე კვირა სჭირდება მის აღდგენას.

**— დათო ყიზილაშვილზე რას გვეტყვი?**

— მე და დათოს დიდი უთანხმოება გვქონდა გუნდის მთავარ მწვრთნელთან, მე ასე თუ ისე შევურიგდი, დათოსთან კი ჯერაც მწყრალადაა, თუმცა დათომ ტრავმა მოიშუშა, ისევ ჩინებულ ფორმაშია და გოლებიც გააქვს.

**— წლის დასაწყისში რომ დამირეკე, დაოჯახებას აპირებდი.**

— დავოჯახდი კიდეც, ახლა ელისო და დათოს ცოლი ნინო სულ ერთად არიან. კვლავ ერთ სახლში ვცხოვრობთ, ჩვენ პირველ სართულზე, ყიზილაშვილები — მეოთხეზე.

**— ზემოთ მწვრთნელთან კონფლიქტი ახსენე, რამდენადაც ვიცი, გერმანელი მწვრთნელი გყავთ. ვინ არის, რა კაცია?**

— მართალი გითხრა, იმდენად ცუდი დამოკიდებულება მქონდა, სახელიც აღარ მახსოვს. გვარად პროკოპია და ჩვენამდე შვიდი წელი საბერძნეთში მუშაობდა. ტიპიური გერმანელია, პედანტი და მკაცრი.

**— იქ მყოფ სხვა ქართველებზე რა იცი?**

— ჭედია აღარ თამაშობს, ბიზნესს მიჰყო ხელი. კუდინოვი „არისშია", ბოლოსწინა ადგილზე არიან. როინ კერძევაძე აუტსაიდერ „არადიპუშია" და სულ რამდენიმე დღის წინ პირველი გოლიც გაიტანა.

**— რუსეთის ნაკრებში მართლა გეძახდნენ?**

— ყოველდღე მირეკავდნენ... „ცესკაში" ჩემი წასვლა და ორთავიანი არწივით დამშვენებული მაისური ერთი იყო.

**— „ჟემჩუჟინას" მწვრთნელმა ნაიდენოვმა ერთ ინტერვიუში თქვა, გოჩას გაყიდვას მიჯობს, ჩემპიონატს გამოვეთიშოთო...**

— ნაიდენოვი კაცური კაცია. დღემდე არ აკლებს ყურადღებას ჩემს ოჯახს, სოჭში ჩემს ბინაში რომ ცხოვრობს. ჩემმა ძმამ დამირეკა ამასწინათ, არ ჩამოხვიდე, თორემ ნაიდენოვი შენი გამშვები აღარააო...

**— სოხუმიდან რატომ წახვედი სოჭში?**

— ორი საათის სავალზეა...

**— 1992 წლის „ცხუმი" ევროთასებზე რომ გამოსულიყო, დაბრუნდებოდი?**

— აბა რას ვიზამდი!

**— სულ მინდა გკითხო: შენი აზრით, რატომ არ „გაიხსნა" თქვენი თაობა „დინამოში". როგორც მახსოვს, ერთავად ტრავმას აბრალებდნენ შენს ცუდ ფორმას.**

— ჩემს კარიერაში „დინამოში" გატარებული ხუთი წელი წყალში გადაყრილად მიმაჩნია. ვოვა შამბას მერე პირველი მწვრთნელი, ვინც საქართველოში კაცურად მომიდგა, გიგა ნორაკიძე იყო...

**— შენი სოჭელი თანაგუნდელი რომან ხაგბა ახლა მალაიზიაში თამაშობს. ერთმა რუსმა ჟურნალისტმა მითხრა, ხაგბა შეგნებულად არ აძლევდა პასებს გოგრიჭიანს, თორემ უფრო მეტ გოლს გაიტანდაო.**

— სიცრუე უთქვამს. მინდორზე ჩვენ ძველებურად პარტნიორებად დავრჩით. სხვათა შორის, გუდაუთიდან დედაჩემი სწორედ რომანმა ჩამომიყვანა.

**— გუდაუთაში შენი ბინა დაურბევიათ...**

— მძარცველებს ჩემი სპორტული ჯილდოებიც კი წაუღიათ. ჩემს ოთახში ერთი კედელი მთლიანად ჩემს მედლებს და თასებს ეკავა.

**— თასების თასზე „ტილიგულთან" ტირასპოლში „ომონიამ" შენი ერთადერთი გოლის წყალობით მოიგო. მოლდოველმა ჟურნალისტებმა თბილისში ჩამოსვლისთანავე უმალ შენ გიკითხეს და როცა ნაკრების სიაში ვერ გიხილეს, გაკვირვებულებმა იკითხეს, აბა, ვინლა გყავთ ნაკრებში, გოგრიჭიანმა ხომ მარტომ მოუგო „ტილიგულსო"...**

— ტირასპოლში მხოლოდ ოცდახუთი წუთი ვითამაშე, ფეხი მტკიოდა, თორემ კიდევ გავიტანდი.

**— 1995 წელს კონტრაქტი გითავდება „ომონიასთან", კარიერის გაგრძელებას სად აპირებ?**

— რამდენიმე წინადადება მაქვს, ერთ-ერთს ამოვარჩევ. სადაც უნდა ვიყო, ყოველთვის მზად ვიქნები თბილისში ჩამოვიდე, თუ საქართველოს ნაკრებს დავჭირდები.

მამუკა კვარაცხელია

# ევროპელებთან ხომ არ შევრცხვებით?!

თბილისის „დინამომ" მეცამეტე ტურის შეხვედრა თერჯოლაში „საპოვნელასთან" 27-ის ნაცვლად 24 ნოემბერს ითამაშა და 5:2 გაიმარჯვა. დინამოელთა შემადგენლობა ასეთი იყო: ჩხეიძე — ბერაძე, ლობჟანიძე, შელია, ქველაძე — კეტაშვილი, მაზიაშვილი (ტრაპაიძე), კორლალიძე, ანჩაბაძე — ყაველაშვილი, იაშვილი. გოლები გაიტანეს: იაშვილმა — 2, ყაველაშვილმა — 2, შელიამ. „სამტრედიელთა" შედეგიანი თამაში, ისევე როგორც შარშან ფოთელებისა, თბილისელებს კვლავაც წაფორთხილების უფლების გარეშე ტოვებს. სერგო კუტივაძემ პირველ ინტერვიუში ასპროცენტიანი შედეგის მოპოვების აუცილებლობაზე ბრძანა, სხვანაირად ჩემპიონები ვერ გავხდებითო. მესამე ტურია მწვრთნელი სიტყვას ასრულებს:

**— ბატონო სერგო, ჯერ თერჯოლის თამაშზე ვთქვათ.**

— ლამის მუხლებამდე ტლაპოში ვითამაშეთ, მეტოქემ თავგანწირვით იბრძოლა, მაგრამ ვერას გახდა. დინამოელები ყველა კომპონენტში ერთი თავით მაღლა დგანან მეტოქეებზე და სწორი მუშაობის შემდეგ ჩვენს მიზანს — ჩემპიონობას უსათუოდ მივაღწევთ. გამაოცა და გამახარა ყაველაშვილის თამაშმა, სტრელცოვი მომაგონა, მთელი თამაში ბურთი არ დაუკარგავს, ისეთი ჟინითა და თავგანწირვით უტევდა, გადაჭრით გადავწყვიტე — მე მას არსად გავუშვებ. ყაველაშვილი—იაშვილის დუეტი დღევანდელ „დინამოში" იდეალურად მიმაჩნია. იაშვილი ჩინებული სანახავი იყო. ძლიერად ითამაშა კიდევ ერთმა ახალგაზრდამ — მაზიაშვილმა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასული უხეშად მოცელეს და ახლა ისეთ დღეში აქვს ფეხი, ვეჭვობ, მოტეხილი არ იყოს.

**— ტრავმები არც აქამდე გაკლდათ...**

— ნემსაძეს თაბაშირი კი მოხსნეს, მაგრამ უშუქობის გამო რენტგენი ვერ გადავუღეთ, თუმცა ნათელია, რომ ყველა შემთხვევაში . საოპერაციოა. ცქიტიშვილმა უკვე გაიკეთა მენისკის ოპერაცია, მალე ვარჯიშს დაიწყებს. ჯამარაულიც გამოჯანმრთელდა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

**— კეტაშვილი ნახევადაცვაში წაგიწევიათ...**

— საყრდენ ნახევარმცველად ვითამაშეგელა თამაშიდან თამაშამდე უმატებს, თუმცა, თავის ჩვეული ფორმამდე ჯერ შორსაა. მე მისი იმედი მაქვს...

**— თერჯოლაში არ იყო ქინქლაძე...**

— გიორგი ბულგარეთში იმყოფება, თუმცა ეს არასაფეხბურთო მივლინებაა, ორსამ დღეში უნდა [illegible].

**— ორი მატჩი და პირველი წრე დამთავრდება. მომდევნო პერიოდში [illegible] რამდენიმე ტურნირი [illegible]...**

— საერთოდ, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მოსამზადებელ პერიოდში ტურნირებში გამოსვლისა და არც სპეციალურად მათთვის ვამზადებ გუნდს, მე გეგმაზომიერი მომზადების მომხრე ვარ. 8 იანვარს კიოლნის ტურნირში გამოვალთ, იანვრის ბოლოს კი ესენგეს ჩემპიონთა ტურნირი გვიწევს. მზადებას 26 დეკემბრიდან დავიწყებთ. თუმცა აქ ერთი ნიუანსია: ნაკრების ხელმძღვანელობას გადაუწყვეტია ალბანეთის თამაშის შემდეგ კიდევ რამდენიმედღიანი შეკრება და ალბათ ჩვენი გეგმების კორექცია მოგვიწევს.

**— როდის გაარკვევთ საბოლოოდ წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობას?**

— პირველი წრის დამთავრებისთანავე ეს აუცილებელია, რათა საბოლოოდ დადგინდეს, ვისთან მომიწევს მუშაობა. ჩვენი მიზანი ხომ ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებაა. ისეთის, ევროპაში რომ არ შერცხვება.

მამუკა კვარაცხელია

## საქართველოს ჩემპიონატი

XI ტური. 6, 8 ნოემბერი

### შევარდენი 2:0 დურუჯი

შევარდენი 1906: დევაძე, მჭედლიშვილი, დიმიტრიშვილი, მელქაძე, ხვადაგიანი, ნადირაძე, მაქაცარია, ლ. ბერიშვილი, ცაავა (მაისურაძე 46), ფრიდონაშვილი, შუბითიძე

დურუჯი: ალავიძე, ვ. ხუბეჯიშვილი, ყანჩაშვილი, ელოშვილი, ბოჭორიშვილი, ლობჟანიძე, თოლორდავა, ჯაშიაშვილი, გეგეშიძე, გ. ხუბეჯიშვილი, ღვინიაშვილი

1:0 შუბითიძე (67), 2:0 ბერიშვილი (75)

პენალტი ვერ გაიტანა ბერიშვილმა (61)

მსაჯი: რ. გარნოვსკი (სამტრედია)

### მარგვეთი 0:2 სამტრედია

მარგვეთი: მახათაძე, ქადაგიძე, ჟვანია, მაღლაკელიძე, ღონღაძე, ლანჩავა, სულაკაძე (მაჭავარიანი 55), კაციაშვილი, ტონია, ენდელაძე, მინაშვილი (ფანცხავა 85)

სამტრედია: ჭანტურია, იონანიძე, გუჯაბიძე, ჯელაძე, ჯიშკარიანი, ცომაია, ჯიკაევი, გოგიჩაიშვილი, დ. ჯანაშია, ზ. ჯანაშია, ჩხაიძე

0:1 ჯიშკარიანი (21), 0:2 ცომაია (75)

გაფრთხილება: ლანჩავა, იონანიძე

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### დილა 2:1 ტორპედო

დილა: სოლოლაშვილი, გაგნიძე, ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი, მარეხაშვილი, რევაზიშვილი, ტაბატაძე, ზურ. ხორგუაშვილი, წკრიალაშვილი

ტორპედო: ხელაძე, ჯინჭარაძე, ჩხაბერიძე, ბზიკაძე, ვოსკანოვი, სადილიანი, სუხიაშვილი, ხუნდაძე, მეგრელაძე, მაღლაკელიძე, კვეტენაძე

1:0 ხაჭაპურიძე (10), 1:1 ხუნდაძე (35), 2:1 გაგნიძე (60 პ)

გაფრთხილება: სუხიაშვილი

გაძევება: სუხიაშვილი (60)

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

### ივერია 2:3 კოლხეთი

ივერია: ტოგონიძე, ნეკერაშვილი, გაგუა (შაიშმელაშვილი 1), ნოზაძე, ლაცაბიძე ტყემალაძე, ლურსმანაშვილი, ჩადუნელი, მარლიშვილი (ლომიძე 25), ქობელაშვილი, ნიკლაური

კოლხეთი 1913: გვასალია, მიქაბერიძე, გოროზია (ჯულელი 46), დანელია, გიგატაძე, მაჭავარიანი, კიკლიაშვილი, მახარაძე, ტორჩინავა, დარასელია, გიორგაძე

0:1 დარასელია (8), 1:1 ტყემალაძე (46), 1:2 ჯულელი (57), 2:2 ტყემალაძე (67), 2:3 კიკლიაშვილი (89)

მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

### საპოვნელა 1:0 სამგურალი

საპოვნელა: თევზაძე, კუხიანიძე, გუნაძე, ჭულუხაძე, ხვარეშია, ჩინჩალაძე, ჯულელი (ხვედელიძე 80), ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა

სამგურალი: ა. ჯანელიძე, მუშკუდიანი, ქობულაძე, გ. ჯანელიძე, ვ. ფესტვენიძე, ჩიხლაძე (ხარაბაძე 46), ვ. ჯანელიძე, იობიძე, ლ. ფესტვენიძე, გუბელაძე, ივანეიშვილი

1:0 გოდერძიშვილი (14)

პენალტი ვერ გაიტანა ჭულუხაძემ (16)

მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი)

### მეტალურგი 1:4 დინამო

მეტალურგი: გრიშიკაშვილი, ფოფხაძე, ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი (ჩალაძე 46), ვ. კილასონია, კვარაცხელია (გაფრინდაშვილი 69), გ. კილასონია, ყაველაშვილი, ტარტარაშვილი, ალადაშვილი

დინამო: ზოიძე, ბერაძე, ლობჟანიძე, შელია, დიდავა, რევიშვილი (მაზიაშვილი 79), ნემსაძე, იაშვილი, კორლალიძე, ქინქლაძე, ყაველაშვილი

0:1 ყაველაშვილი (10), 0:2 ყაველაშვილი (38 პ), 0:3 კორლალიძე (54), 0:4 ნემსაძე (60), 1:4 გ. კილასონია (85)

გაფრთხილება: ფოფხაძე, ლობჟანიძე

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

### გურია 0:0 ბათუმი

### ზუგდიდი 3:0 კახეთი

კახეთი არ გამოცხადდა

XII ტური. 10 ნოემბერი

### დინამო 5:0 ზუგდიდი

დინამო: ზოიძე, კეტაშვილი, ბერიძე, შელია, დიდავა, რევიშვილი, ნემსაძე, იაშვილი, კორლალიძე, ქინქლაძე, ყაველაშვილი

ზუგდიდი: ჭანტურია, ჯაბუა, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქავა, დ. კაკუბავა, ნ. კაკუბავა, გაბედავა, დარასელია, გაბისონია, გუგუჩია (კუტალია 79)

1:0 ყაველაშვილი (44), 2:0 იაშვილი (49), 3:0 ქინქლაძე (70), 4:0 იაშვილი (80), 5:0 რევიშვილი (87)

მსაჯი: მალაღურაძე (თბილისი)

IX ტური, 11 ნოემბერი

### მეტალურგი 3:0 სამგურალი

მეტალურგი: კოროშინაძე, ტარტარაშვილი, ყაველაშვილი, არჩვაძე, კობიაშვილი, ვ. კილასონია, გახოკიძე (ფოფხაძე 46), გ. კილასონია, პერტია (ჩალაძე 66), ზირაქიშვილი, ალადაშვილი

სამგურალი: ა. ჯანელიძე, ივანეიშვილი, ქობულაძე, გ. ჯანელიძე, ვ. ფესტვენიძე, ჩიხლაძე (თოდაძე 78), ცნობილაძე, იობიძე, ვ. ჯანელიძე (ხვიჩია 80), გუბელაძე, ხარაბაძე

1:0 გ. კილასონია (39), 2:0 ვ. კილასონია (65), 3:0 ზირაქიშვილი (78)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

XII ტური. 19 ნოემბერი

### დურუჯი 2:1 სამგურალი

დურუჯი: ალავიძე, ვ. ხუბეჯიშვილი, გეგეშიძე, ელოშვილი, ბოჭორიშვილი, ლობჟანიძე, ქარენაშვილი (თოლორდავა), ჯაშიაშვილი, პოზოიანი, გ. ხუბეჯიშვილი, ღვინიაშვილი

სამგურალი: ა. ჯანელიძე, თოდაძე, გ. ჯანელიძე, ქობულაძე, ხვიჩია, ჩიხლაძე, ცნობილაძე (ვ. ჯანელიძე), იობიძე, ივანეიშვილი, გუბელაძე (ქუთათელაძე), ხარაბაძე

1:0 გ. ხუბეჯიშვილი (13), 2:0 ქარენაშვილი (14), 2:1 ხარაბაძე (54)

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

### კახეთი 5:1 საპოვნელა

კახეთი: გვარამაძე, შონია, კაციტაძე, დოლიძე, სოლოლაშვილი, ბაკურაძე (ზამთარაძე 68), კანდელაკი, ხორხელი, კალუჟა, ბაბულაიძე, სირაძე (სეფაშვილი 31).

საპოვნელა: ქათამაძე, კუხიანიძე, გენაძე, ჭულუხაძე, ხვარეშია (ხვედელიძე 73), უკლება, ჩინჩალაძე, ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა (ბუნტური 53)

1:0 კალუჟა (21 პ), 2:0 სეფაშვილი (47), 3:0 სეფაშვილი (52), 3:1 ბუნტური (72), 4:1 ბაბულაიძე (79), 5:1 ბაბულაიძე (85)

გაფრთხილება: გენაძე

მსაჯი: გ. ხეჩუაშვილი (კასპი)

### კოლხეთი 4:0 მეტალურგი

კოლხეთი 1913: გვასალია, მიქაბერიძე, გოროზია, დანელია, გოგატაძე, მაჭავარიანი, კიკლიაშვილი (ბულუხია 71), მახარაძე, ჯულელი, დარასელია, ტორჩინავა (ჯავაშვილი 60)

მეტალურგი: გრიშიკაშვილი, ფოფხაძე, ბურნაძე, არჩვაძე, კობიაშვილი, ვ. კილასონია, ტარტარაშვილი, გ. კილასონია, ყაველაშვილი, გაფრინდაშვილი, ალადაშვილი

1:0 ჯულელი (22 პენ) 2:0 დარასელია (57), 3:0 მახარაძე (63), 4:0 მიქაბერიძე (80)

გაფრთხილება: ბურნაძე, ჯულელი, გოროზია

გაძევება: არჩვაძე (31)

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

### ტორპედო 1:0 ივერია

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ბზიკაძე, ვოსკანოვი, წივწივაძე, სადილიანი, ხუნდაძე, მეგრელაძე, მაღლაკელიძე (ნოზაძე 55), ვაჩიბერაძე

ივერია: ტოგონიძე, ნეკერაშვილი, გაგუა, ნოზაძე, ლაცაბიძე, ტყემალაძე, ლურსმანაშვილი, ჩადუნელი (შაიშმელაშვილი 60), მარლიშვილი, ქობელაშვილი, ლომიძე (ნარმანია 46)

1:0 ხუნდაძე (72)

გაფრთხილება: გაგუა

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

### სამტრედია 4:2 დილა

სამტრედია: ჭანტურია, იონანიძე, გუჯაბიძე (ამაშუკელი 46), გოგიტაძე, ჯიშკარიანი, ცომაია, ჯიკაევი, გოგიჩაიშვილი, დ. ჯანაშია, ზ. ჯანაშია (გოგიაშვილი 73), ჩხაიძე

დილა: სოლოლაშვილი, ლომიძე, ჩიტაია (ზვ. ხორგუაშვილი 46), ჯ. გაგნიძე, ცხადაძე, ფეზუაშვილი, მარეხაშვილი, გეგეჭკორი, ტაბატაძე (ხადური 65), ზურ. ხორგუაშვილი, წკრიალაშვილი

1:0 ჯიშკარიანი (22), 1:1 ტაბატაძე (44), 2:1 გოგიჩაიშვილი (51), 3:1 გოგიჩაიშვილი (57), 4:1 ზ. ჯანაშია (65), 4:2 ზვ. ხორგუაშვილი (88)

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### ბათუმი 5:2 მარგვეთი

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, ბერიძე, (ღლონტი 64), სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ.მახარაძე, მაჭუტაძე (ტულუში 59), მუჯირი, უჯმაჯურიძე, ამბიძე

მარგვეთი: მახათაძე, ქადაგიძე, მაღლაკელიძე, ლანჩავა, ღონღაძე, კაციაშვილი, გაბრიჭიძე, სულაკაძე, ფოცხვერაშვილი (ფანცხავა 70), ენდელაძე, მაჭავარიანი (თხელიძე 55)

1:0 მუჯირი (10), 1:1 მაღლაკელიძე (35) 2:1 ამბიძე (40), 3:1 ამბიძე (62), 4:1 ამბიძე (66 პენ), 5:1 უჯმაჯურიძე (72), 5:2 ენდელაძე (80 პ)

მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

### შევარდენი 1:1 გურია

შევარდენი 1906: დევაძე, მჭედლიშვილი, დიმიტრიშვილი, მელქაძე, ე. ბერიშვილი, ნადირაძე, მაქაცარია (ჯელაძე 70), ლ. ბერიშვილი, ჭოლოკავა, ფრიდონაშვილი, მაისურაძე

გურია: კუნჭულია, ბურდული, თევზაძე, რუხაძე, ბუცურეიშვილი, ლორია, კვინტრაძე, რეხვიაშვილი, გოგოლაძე, გამცემლიძე, განიევი

0:1 გამცემლიძე (6), 1:1 ლ. ბერიშვილი (24)

მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 12 | 10 | 1 | 1 | 35-11 | 31 |
| დინამო | 12 | 9 | 2 | 1 | 54-13 | 29 |
| კოლხეთი | 12 | 9 | 0 | 3 | 28-11 | 27 |
| ბათუმი | 12 | 8 | 1 | 3 | 31-15 | 25 |
| ტორპედო | 12 | 7 | 1 | 4 | 18-14 | 22 |
| მეტალურგი | 12 | 5 | 3 | 4 | 15-13 | 18 |
| გურია | 12 | 4 | 4 | 4 | 19-25 | 16 |
| დურუჯი | 12 | 5 | 0 | 7 | 15-33 | 15 |
| ზუგდიდი | 12 | 4 | 3 | 5 | 22-21 | 15 |
| შევარდენი | 12 | 4 | 3 | 5 | 17-16 | 15 |
| დილა | 12 | 4 | 3 | 5 | 9-14 | 15 |
| კახეთი | 12 | 3 | 4 | 5 | 11-19 | 13 |
| ივერია | 12 | 3 | 2 | 7 | 15-19 | 11 |
| საპოვნელა | 12 | 2 | 2 | 8 | 10-29 | 8 |
| მარგვეთი | 12 | 2 | 2 | 8 | 7-33 | 8 |
| სამგურალი | 12 | 0 | 3 | 9 | 9-29 | 3 |

ცხრილში შეტანილი არაა XIII ტურის წინასწარ, 24 ნოემბერს გამართული მატჩის შედეგი: საპოვნელა — დინამო 2:5

ფეხბურთი

## ჩემპიონთა ლიგა

**V ტური. 23 ნოემბერი. A ჯგუფი.**

გალათასარაი (თურქეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 2:1
გიოტებორგი (შვედეთი) — მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) 3:1
**7 დეკემბერს თამაშობენ: ბარსელონა — გიოტებორგი, მანჩესტერი — გალათასარაი**

**B ჯგუფი**

სპარტაკი (რუსეთი) — დინამო (უკრაინა) 1:0
ბაიერნი (გერმანია) — პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი) 0:1
**7 დეკემბერს თამაშობენ: დინამო — ბაიერნი, პსჟ — სპარტაკი**

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 4 | 0 | 1 | 9-6 | 8 | პარი სენ-ჟერმენი | 5 | 0 | 0 | 8-2 | 10 |
| ბარსელონა | 2 | 1 | 2 | 10-7 | 5 | სპარტაკი | 1 | 2 | 2 | 7-8 | 4 |
| მანჩესტერი | 1 | 2 | 2 | 7-11 | 4 | ბაიერნი | 1 | 2 | 2 | 4-6 | 4 |
| გალათასარაი | 1 | 1 | 3 | 3-5 | 3 | დინამო | 1 | 0 | 4 | 4-7 | 2 |

**C ჯგუფი**

ბენფიკა (პორტუგალია) — ჰაიდუკი (ხორვატია) 2:1
სტიაუა (რუმინეთი) — ანდერლეხტი (ბელგია) 1:1
**7 დეკემბერს თამაშობენ: ანდერლეხტი — ბენფიკა, ჰაიდუკი — სტიაუა**

**D ჯგუფი**

ა.ე.კ. (საბერძნეთი) — კაზინო (ავსტრია) 1:3
მილანი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) 0:2
**7 დეკემბერს თამაშობენ: კაზინო — მილანი, აიაქსი — ა.ე.კ.**

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 3 | 2 | 0 | 8-4 | 8 | აიაქსი | 3 | 2 | 0 | 7-2 | 8 |
| ჰაიდუკი | 2 | 2 | 1 | 4-3 | 6 | კაზინო | 1 | 3 | 1 | 4-5 | 5 |
| სტიაუა | 0 | 3 | 2 | 3-5 | 3 | მილანი | 2 | 1 | 2 | 5-5 | 3 |
| ანდერლეხტი | 0 | 3 | 2 | 3-6 | 3 | ა.ე.კ. | 0 | 2 | 3 | 3-7 | 2 |

## უეფას თასი

**მერვედფინალი. პირველი მატჩები. 22, 24 ნოემბერი**

ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი) — პარმა (იტალია) 1:0
დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი)—ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია) 1:0
გ.კ.ს. (პოლონეთი) — ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია) 1:4
ოდენსე (დანია) — რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 2:3
ტრაბზონსფორი (თურქეთი) — ლაციო (იტალია) 1:2
ნანტი (საფრანგეთი) — სიონი (შვეიცარია) 4:0
აინტრახტი (გერმანია) — ნაპოლი (იტალია) 1:0
ადმირა (ავსტრია) — იუვენტუსი (იტალია) 1:3

# ფიფა სავსებით გულგრილია

**ახლახან რუსულმა გაზეთმა „სპორტ ექსპრესმა“ (12 ნოემბერი, 1994 წ.) გამოაქვეყნა ინტერვიუ ფიფას ვიცე-პრეზიდენტთან ვ. კოლოსკოვთან, რომელიც მან მისცა ნიუ-იორკში გამართულ ფიფას კონგრესის დამთავრებისთანავე. ვფიქრობთ, ფეხბურთის გულშემატკივართათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ამ პუბლიკაციის ზოგიერთი ფრაგმენტი, ვინაიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ირგვლივ დღეს შექმნილი ვითარება, როდესაც მის მუშაობაში უხეშად ჩარევას ცდილობენ სამთავრობო და საზოგადოებრივი სტრუქტურები, ზედგამოჭრილად ესადაგება ინტერვიუში დამოწმებულ ფაქტებს.**

**— რა საკითხები იხილებოდა ამერიკაში?**

— მთავარი გახლდათ ეროვნული ფედერაციების დამოკიდებულება თავიანთი ქვეყნების მთავრობებთან. თუ ადრე ფიფას წესდებაში შეტანილი იყო პუნქტი, რომელიც კრძალავდა ამ უკანასკნელთა ჩარევას ფედერაციების საქმიანობაში, ახლა მიღებულია უფრო მკაფიო ფორმულირებანი.

**— როგორი?**

— პირველი, ნებისმიერი ფედერაციის აღმასრულებელი ორგანო იქნება თვით ფედერაციაში ჩატარებული არჩევნების საფუძველზე. მეორე, ყოველი ეროვნული ასოციაციის წესდებაში აუცილებლად უნდა იყოს დებულება, რომლითაც გარანტირებულია თითოეული ამომრჩევლის დამოუკიდებლობა. მესამე, ფიფა ამიერიდან არ სცნობს იმ ფეხბურთის ფედერაციათა აღმასკომებს, რომლებიც შექმნილია პირველი და მეორე პუნქტების უგულებელყოფით.

**— რა მიზეზებმა გამოიწვიეს წესდების ამ პარაგრაფების კონკრეტიზაცია?**

— ვითარებამ ცალკეულ, მაგალითად, აფრიკულ ქვეყნებში, სადაც მთავრობა ერევა საფეხბურთო ფედერაციის საქმიანობაში.

**— ანალოგიური სიტუაცია, როგორც ვიცით, შეიქმნა ამასწინათ აზერბაიჯანში...**

— დიახ, იქ მთავრობამ შექმნა თავისი ლიგა და ჩაატარა ჩემპიონატი. პარალელურად თავის ჩემპიონატს ატარებდა ფედერაცია. როგორც კი ფიფაში შემოვიდა ეს ინფორმაცია, სასწრაფოდ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, დროებით გაერიცხათ აზერბაიჯანი ფიფას წევრობიდან. შეიტყვეს რა ფიფას ასეთი რეაქციის შესახებ, ლიგა, რომელიც მთავრობამ შექმნა, დაუყოვნებლივ დაშალეს.

**— ერევიან თუ არა რუსეთის მთავრობა ან სხვა საზოგადოებრივი სტრუქტურები თქვენს საქმიანობაში?**

— არა. იმედი მაქვს, შემდგომშიც ასე იქნება. ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელები მშვენივრად ერკვევიან სამართლებრივი ურთიერთობის საკითხებში.

**ფიფასა და უეფას პრინციპულობაში, იმაში, რომ ეს ორგანიზაციები ერთგულებენ და პატივს სცემენ თავიანთ გადაწყვეტილებებს, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ახლახან მიღებული ფაქსი:**

4 ნოემბერი, 1994 წ.

ფიფა
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას

ძვირფასო ბატონებო,

უეფა დაუკავშირდა ფიფას იმ წერილებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოგზავნეს საქართველოს რესპუბლიკის სპორტის კომიტეტმა და საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა (წერილები თან ერთვის) საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესამე ყრილობის ვითომდა ნაკლოვანებებით ჩატარების შესახებ.

ჩვენ სავსებით გულგრილად ვეკიდებით აღნიშნულ წერილებს და გთხოვთ, თუ რაიმე პრობლემა გაგიჩნდათ ამ თვალსაზრისით, შეგვატყობინოთ.

პატივისცემით,
ფიფას გენერალური მდივანი ი. ბლატერი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური

ხელბურთი

# განახევრებული «მამული» და ძალამიცემული «მიმი»



ხელბურთელ ვაჟთა ახლახანდაწყებულ, მეხუთე ეროვნულ ჩემპიონატში, წინა რვაგუნდიანისაგან განსხვავებით, ორით ნაკლები მონაწილე ჩაება. გამოაკლდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და „ამირანის“ მეორე შემადგენლობები და გორის „იბერია“. სამაგიეროდ, კვლავ გამოჩნდა ფოთელთა გუნდი, რომლის შესახებაც ოთხი წელი არაფერი ისმოდა, ახლა კი იქაურებს გულით მოუწადინებიათ ხელბურთის აღზევება და სერიოზულადაც შესდგომიან საქმეს. ახალი გუნდის კვალობაზე „ოქროს ვერძს“ პირველ ტურში ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, თუმცა მხოლოდ ერთი თამაში მოიგო. ახლადშექმნილ კოლექტივს შესათამაშებლად, ცხადია, დრო სჭირდება, მერე და მერე კი, იმედია, შედეგიც უკეთესი იქნება. აღსანიშნავია, რომ სწორედ „ოქროს ვერძის“ წამყვანი მოთამაშე ზვიად შათირიშვილი ლიდერობს ბომბარდირთა დავაში.

უფრო დიდი მიზნები აქვთ სამტრედიელებს, რომელთა გუნდიც წინა ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გავიდა, წლეულს კი „მიმი“ საპრიზო ადგილის პრეტენდენტია. გუნდს ახალი მეპატრონე ჰყავს – ფირმა „მიმი“, რომლის პრეზიდენტი, ახალგაზრდა სამტრედიელი კაცი ტარიელ ჩაჩუა ყოველმხრივ ზრუნავს ბიჭებზე. მარტოოდენ „ადგილობრივი კადრებით“ გუნდი რა თქმა უნდა, სამეულისთვის ვერ გაიბრძოლებდა, ამიტომ, აქაურთ შემატეს თბილისიდან გადასული ნაკრების რამდენიმე მოთამაშე, მათ შორის ტიტე კალანდაძე და მეკარე ირაკლი კენჭაძე. სოლიდურმა შევსებამ „მიმი“ მოაღონიერა, ყველა თამაშში საკმაოდ ძლიერად გამოიყურებოდა, ხუთიდან მხოლოდ ერთ მატჩში დამარცხდა და 7 ქულით მეორე ადგილზეა. ლიდერობა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, თავიდანვე ხელთ იგდო წინა ოთხივე ჩემპიონატის გამარჯვებულმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა, რომელიც სხვათაგან სათამაშო წესრიგიანობითაც გამოირჩევა და შემსრულებელთა ოსტატობითაც. შეტევაში, ამჯერად, გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავთ – გატანილი გოლები თანაბრად ნაწილდება ხუთ მოთამაშეზე (ბექა ორჯონიკიძე, გიორგი თურქია, ვახტანგ მეიფარიანი, გია ქობელაშვილი, ალეკო ბოყოჩაძე). ტექნიკოსები უდანაკარგოდ ლიდერობენ გათამაშებას, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „მამულთან“ შეხვედრაში ახლოს იყვნენ მარცხთან და მხოლოდ ბოლო წუთზე შეძლეს გამარჯვების მოპოვება. ორიოდე თვის წინ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის თამაშებში „მამულმა“ არცთუ ურიგო შთაბეჭდილება დატოვა, ახლა კი ლამის განახევრებული ძალით მოუხდა ჩემპიონატში ჩაბმა. კალანდაძის გარდა ტრავმის გამო გამოაკლდათ კიდევ ერთი გოლეადორი მერაბ უშვერიძე, უშუალოდ ტურის მსვლელობისას კი დაუშავდათ ორი წამყვანი მოთამაშე – ელიზბარ არსენაშვილი და ზაზა გაბრიჩიძე. თუმცა ასეთი შესუსტებული შემადგენლობითაც „მამულმა“ ჩინებულად ითამაშა. დიდებულად იცავს კარს ორმეტრიანი თამაზ ქოქოსაძე: ჩემპიონატში მოასპარეზე ათი მეკარიდან მისი თამაში ყველაზე საიმედო შთაბეჭდილებას ტოვებს. საინტერესოა, რომ თამაზმა 10 პენალტი აიღო და ამ მაჩვენებლით საგრძნობლად უსწრებს კონკურენტებს.

მშვენივრად დაწყებულ ასპარეზობას, სამწუხაროდ, ჩრდილი მიაყენა ტურის ბოლოს მომხდარმა ორმა ინციდენტმა, რომელთა მოთავეებიც კახა ღლონტი („მამული“) და მერაბ როგავა („ამირანი“) ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ დისკვალიფიკაციით დასაჯა. არაპრინციპულობისთვის სათანადოდ დაისაჯნენ მსაჯებიც. ჩემპიონატის მეორე ტური 6 დეკემბერს დაიწყება.

გია ახალაძე



„მამულის“ მეკარე თამაზ ქოქოსაძე

**საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი. პირველი წრე**

15 ნოემბერი
სტუ — მართვე 45:19
ამირანი — ოქროს ვერძი 41:37
მამული — მიმი 27:27

16 ნოემბერი
ამირანი — მართვე 41:21
მამული — ოქროს ვერძი 37:34
სტუ — მიმი 23:18

17 ნოემბერი
მიმი — მართვე 29:15
სტუ — ოქროს ვერძი 31:22
მამული — ამირანი 33:28

19 ნოემბერი
ოქროს ვერძი — მართვე 32:26
სტუ — მამული 28:27
მიმი — ამირანი 29:27

20 ნოემბერი
მამული — მართვე 30:23
სტუ — ამირანი 25:24
მიმი — ოქროს ვერძი 29:16

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 5 | 0 | 0 | 152-110 | 10 |
| „მიმი“ სამტრედ. | 3 | 1 | 1 | 132-108 | 7 |
| „მამული“ | 3 | 1 | 1 | 154-140 | 7 |
| „ამირანი“ | 2 | 0 | 3 | 161-145 | 4 |
| „ოქროს ვერძი“ | 1 | 0 | 4 | 141-164 | 2 |
| „მართვე“ | 0 | 0 | 5 | 104-177 | 0 |

**ბომბარდირები:**

ზვიად შათირიშვილი (ოქროს ვერძი) — 45
კახა ღლონტი (მამული) — 37
ტიტე კალანდაძე (მიმი) — 36
ზაზა გაბრიჩიძე (მამული) — 30
მერაბ როგავა (ამირანი) — 30
მიხო კერესელიძე (მიმი) — 28
კობა თორდია (ამირანი) — 28
გელა შურღაია (ოქროს ვერძი) — 27
ირაკლი ხურციძე (ამირანი) — 25
ბექა ორჯონიკიძე (სტუ) — 24
გიორგი თურქია (სტუ) — 24

# უპატრონო «თბილისი»

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ტურის თავისებურება ის გახლავთ, რომ მატჩების ნახევარი უდენობა-უშუქობაში მიმდინარეობს. ძველი დრო რომ ყოფილიყო, დენის გამორთვისას მატჩები აუცილებლად გადაიდებოდა, მაგრამ ახლა რომ ეს წესი დაიცვან, ჩემპიონატი უსასრულოდ გაგრძელდება. ამიტომაც, გუნდები შეურიგდნენ გარემოებას და სამდივნოს მიერ წამზომზე დაფიქსირებული დროით და ქაღალდზე დაწერილი ანგარიშითაც იოლას გადიან.

ქუთაისის გუნდს მოუგვარებია ფინანსური პრობლემები და ფედერაციის ნებართვით გათამაშებაშიც ჩაება. ამან თამაშთა განრიგის ცვლილება გამოიწვია, რადგან ქუთაისელები გამოტოვებულ მატჩებსაც ამ ტურში გამართავენ. გუნდი იძულებით გაახალგაზრდავებულა, რადგან მისი ლიდერები (მერაბ ნაცვლიშვილი და მაჩალაძე) „მერანში" გადავიდნენ, ხოლო რამდენიმე გამოცდილი კალათბურთელი არ ჩანს.

სამაგიეროდ, შეიძლება დაიშალოს „თბილისი". შარშანდელ ვიცე-ჩემპიონს არც პატრონი ჰყავს, არც სპონსორი და ეკონომიკურად მეტად გაჭირვებულია. მისი ლიდერი პაატა გურასპაული კი სეზონის რეკორდებს ამყარებს: „დინამოსთან" 49 ქულა მოაგროვა, „გეორგიკას" კი 11 სამქულიანი ჩაუგდო.

ფაქტიურად, უკვე გამოიკვეთა ის სამეული, ჩემპიონობისთვის რომ იბრძოლებს — „კაქტუსი", „ვითა", „დინამო". ამ სამთან ყველაზე ახლოს „თბილისი", „მერანი" და „აზოტი" იმყოფებიან, მაგრამ მედლებისთვის ბრძოლაში ამათი ჩარევა, დღესდღეისობით, მეტად საეჭვო ჩანს.

გაუარესებულია მსაჯობის საქმეც. ძირითადად ის ხალხი მსაჯობს, ვინც პროფესიით მწვრთნელია. მათ მადლობის მეტი რა ეთქმით, ისინი რომ არა, ჩემპიონატი, უბრალოდ, ჩაიშლებოდა. დღეში ორი თამაშის მსაჯობა უწევს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს როლანდ ხომერიკს. ესეც ჩვენი უთავობის ბრალია, თორემ 62 წლის თანამდებობის პირის მსგავს რამეებზე მოცდენა, სხვა თუ არაფერი, უხერხულია. წარმოიდგინეთ, ევროპის ჩემპიონატის მატჩი სტანკოვიჩმა რომ იმსაჯოს, ან NBA-ს შეხვედრა — დევიდ შტერნმა. მაგრამ, როგორც გიჭირდესო, ნათქვამია...

ერთი სიტყვით, საკალათბურთო ჩემპიონატი რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ მიმდინარეობს. უდენობას უკვე შევეჩვიეთ. უარესი თუ არ მოხდება, მეორე ტური, წესით, 2 დეკემბერს დამთავრდება.

# «ვითას» პირველად გაუსწრეს!

ლიდერთა მატჩში გამარჯვებული სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცეოდა და საქართველოს ჩემპიონატში ერთხელისუფლებიანობა დამყარდებოდა. დარბაზი პირთამდე გაივსო. პოლიციელებთან ერთად წესრიგის დასაცავად შავფორმიანი ომონელებიც გამოჩნდნენ. თუმცაღა, ამათ დიდი ჯაფა არ დასდგომიათ, რადგან მატჩმა ექსცესების გარეშე ჩაიარა. დაწვრილებითი აღწერისთვის თამაში ხუთწუთიან მონაკვეთებად დავყავით.

**5.00. „კაქტუსი" იგებს 14:5.**

„ვითამ" სასტარტო ხუთეულში ჩერქეზიშვილის ნაცვლად სანაძე გამოიყვანა, ხოლო გამთამაშებლობა ირაკლი ვაშაკიძეს დაავალა. ცხადი გახდა, რომ ვაშაკიძე, ვითელთა მხრიდან დაცვაში საუკეთესო, თორთლაძეს აედევნებოდა. ასეც მოხდა, მაგრამ მესამე წუთზე ირაკლის უკვე სამი პერსონალური ჰქონდა. ამასობაში „კაქტუსი" 6:0 დაწინაურდა, ნაცვლიშვილმა პირველ ხუთ წუთში 6 ქულა ჩაიწერა.

**10.00. „კაქტუსი" იგებს 20:15**

„ვითას" მწვრთნელი ბესიკ ლიპარტელიანი მიმართავს ნაცად ხერხს: ოპტიმალურის ძიებაში ინტენსიურად ცვლის შემადგენლობას. გუნდი ნელ-ნელა გამოდის შოკიდან. ჩერქეზიშვილი და ვაშაკიძე ინდივიდუალურ გარღვევებს მიმართავენ და ხშირად წარმატებითაც. „კაქტუსი" ამას კომბინაციურ თამაშს უპირისპირებს.

**15.00 „კაქტუსი" იგებს 29:24**

„კაქტუსის" მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა ჩხეიძე და ნაცვლიშვილი დაასვენა. უკანა ხაზმა პასებით ბერძენიშვილის მომარაგება დაიწყო, რითაც „კაქტუსმა" ფარზე ბრძოლა მოიგო. ბერძენიშვილი ორჯერ ზუსტად უტევს ფარსგარედანაც, მაგრამ შეტევაში ზედიზედ იღებს ორ ჯარიმას. ამით სარგებლობენ ვაშაკიძე და სანაძე და მეტოქეს დიდი ანგარიშით წინ გასვლის საშუალებას არ აძლევენ.

**20.00 „კაქტუსი" იგებს 45:37**

„ვითა" ორმოცაძეს და ბეჟანიშვილს ასვენებს, რითაც შეგნებულად თმობს ფარს და ყურადღება სამქულიან სროლებზე გადააქვს. ახალმა ტაქტიკამ მას ხეირი ვერ მოუტანა: კობეშავიძე, სანაძე და ჩერქეზიშვილი ზედიზედ აცილებენ, თუმცა არც „კაქტუსი" თამაშობს უშეცდომოდ. ორივე გუნდი დაცვაში უზუსტოდ მოქმედებს, ხშირად ჯარიმდება და ამის გამო, ეს ხუთწუთიანი მონაკვეთი ტაიმში ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა. მეტოქეები საჯარიმოებს ძალზე ზუსტად ტყორცნიან: „ვითა" — 16-დან 14, „კაქტუსი" 18-დან 15.

**მეორე ტაიმი.**

**25.00. „კაქტუსი" იგებს 51:41**

„კაქტუსმა" ცენტრზეააწყო თამაში და ბერძენიშვილიც სათანადოდ გაისარჯა. ვაშაკიძემ მეხუთე პერსონალურის გამო მოედანი დატოვა, რითაც მისმა გუნდმა მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა მიიღო.

**30.00 „კაქტუსი" იგებს 59:55**

საქართველოს ჩემპიონები ფარქვეშიდან ზედიზედ სამჯერ აცილებენ ბურთს, „კაქტუსი" კონტრშეტევებს მიმართავს. ასეთი არეული თამაში „ვითას" აძლევს ხელს. ერთი ვითელი შეტევაში ყოველთვის ცარიელი რჩება: სანაძე სამქულიანით და კობეშავიძე საშუალო მანძილიდან ანგარიშში სხვაობას 4 ქულამდე ამცირებენ.

**35.00. 70:70**

„ვითა" პრესინგზე გადადის. კაქტუსელები ახერხებენ თავის დაძვრენას და ორჯერ აძლევენ ბურთს ფარქვეშ მარტოდ დარჩენილ ნაცვლიშვილს, რომელიც შედეგიანად უტევს. კოკოლიშვილი მეხუთე ჯარიმას იღებს. 33-ე წუთამდე ანგარიშში სხვაობა 4 ქულაა. ამ დროს ტურაშვილი სამქულიანს აგდებს. კობეშავიძე იღებს ჩაჭრილ ბურთს და არცთუ რთული მდგომარეობიდან არაზუსტი სროლით კარგავს „ვითას" პირველად დაწინაურების შანსს. ნაცვლიშვილი ამატებს ბეძენიშვილის აცდენილ საჯარიმოს და „კაქტუსი" კვლავ 4 ქულითაა წინ. კიდევ ორი შეცდომა დაცვაში და ზუსტად 35-ე წუთზე ჩუბინიძე ანგარიშს ათანაბრებს.

**40.00. 85:85**

ბერძენიშვილი ორჯერ მახვილგონივრულად თამაშობს ფარქვეშ, რასაც ჩხეიძის გარღვევაც ემატება. ძირითადი დროის დამთავრებამდე 3.07 წუთით ადრე დენი გამოირთო (მატჩის ბოლომდე) და ვერის ბაღში ბინდი ჩამოწვა.

მსაჯები უშუქოდ, ტაბლოს გარეშე გადაწყვეტენ მატჩის გაგრძელებას, რასაც კობეშავიძე სამქულიანით „ადასტურებს". „ვითა" ცაიტნოტშია: სანაძე ორჯერ შეგნებულად არ შედის ფარქვეშ და სამქულიანებს ესვრის არაზუსტად. იგივეს აკეთებენ მომდევნო შეტევისას კობეშავიძე და ტურაშვილი. ჟღენტი მეტად საჭირო ბურთს ჭრის და „კაქტუსი" 80:73 დაწინაურდა. ამის შემდეგ მატჩი NBA-ს სცენარით განვითარდა. ჩხეიძის წინააღმდეგ ვითელები ორჯერ ჯარიმდებიან. კაქტუსელი ნერვებს ვერ თოკავს და ოთხიდან ერთ ბურთს აგდებს. ჩერქეზიშვილი თავის თავზე იღებს თამაშის გაძღოლას და ჯერ თავად უტევს შედეგიანად, შემდეგ კი სანაძეს და ტურაშვილი გაჰყავს სამქულიანის სატყორცნ პოზიციაზე. დამთავრებამდე 25 წამით ადრე თორთლაძე უსხლტება მეტოქის პრესინგს. მის წინააღმდეგ ჯარიმდებიან. დავითი ორივეჯერ ზუსტად ისვრის — „კაქტუსი" წინაა 84:81. ახლა უკვე თორთლაძე ჯარიმდება ჩერქეზიშვილთან ბრძოლაში — 84:83. ჩუბინიძე ავანტიურას მიმართავს, მეხუთე პესონალურის ფასად ბერძენიშვილის შეტევას აჩერებს, თუმცა სარგებლიანად: „კაქტუსის" ცენტრი ერთ საჯარიმოს აცილებს და მისი გუნდი ორი ქულითაა წინ — 85:83. ჩხეიძე ჩერქეზიშვილს ეთამაშება უხეშად და „ვითას" კაპიტანს არც ამჯერად გაუცუდდა საჯარიმოები — 85:85. „კაქტუსს" ბოლო სროლისთვის დრო აღარ ჰყოფნის.

**ოვერტაიმი. 102:94**

პირველივე შეტევისას ნაცვლიშვილმა (ოვერტაიმში 10 ქულა დააგროვა) ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო. „ვითა" ბურთს კარგავს და ჩხეიძე მარჯვენა ფრთიდან აგდებს ბურთს. ჩერქეზიშვილი სამქულიანით ათანაბრებს ანგარიშს, რასაც მოჰყვა ნაცვლიშვილის სამქულიანი. ტურაშვილი ორიდან ერთ საჯარიმოს აგდებს, ნაცვლიშვილი, თორთლაძე და ჟღენტი კი ანგარიშს 97:89 ხდიან. ორმოცაძემ და კობეშავიძემ სცადეს მატჩის ბედის შემოტრიალება, მაგრამ „ვითას" ამ დღეს მოგება არ ეწერა. საქართველოს ჩემპიონმა ორი წლის განმავლობაში პირველად დათმო ლიდერობა, ხოლო „კაქტუსი" შეიქნა ისტორიაში მესამე გუნდი („დინამოს" და „თბილისის" შემდეგ), ვინც „ვითა" დაამარცხა და ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერიც გახდა.

მერაბ რატიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. ვერის ბაღი. 26 ნოემბერი
კაქტუსი — ვითა 102:94 (45:37, 85:85)
მსაჯები: რ. ხომერიკი, რ. გელოვანი

| კაქტუსი | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 დ. თორთლაძე | 10 | 6 | 3 | — | 8 | 8 | 2 |
| 7 ხოშტარია | 16 | 2 | 1 | — | 4 | 4 | 5 |
| 15 ჩხეიძე | 9 | 4 | 3 | 2 | 8 | 3 | 4 |
| 13 ნაცვლიშვილი | 34 | 14 | 5 | — | 10 | 8 | 2 |
| 14 ბერძენიშვილი | 24 | 13 | 2 | — | 10 | 6 | 3 |
| 10 ახვლედიანი | 2 | — | 1 | — | 2 | 2 | 3 |
| 11 ოთიურიძე | 1 | 3 | — | — | 2 | 1 | 1 |
| 12 აბრამიძე | — | — | — | — | — | — | — |
| 9 მაჭარაძე | — | 2 | — | — | — | — | — |
| 6 ა. ჟღენტი (კ) | 6 | — | 2 | — | — | — | 4 |
| სულ | 102 | 44 | 17 | 2 | 44 | 32 | 24 |

| ვითა | ქ. | მოხ. | ჩაჭ. | დაფ. | საჯარ. სულ | საჯარ. + | პერს. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 ი. ვაშაკიძე | 10 | 2 | — | — | 4 | 3 | 5 |
| 8 სანაძე | 16 | 6 | 5 | 4 | 2 | 2 | 1 |
| 6 კობეშავიძე | 17 | 5 | 3 | — | 2 | 2 | 4 |
| 13 ორმოცაძე | 2 | 4 | 3 | — | — | — | 3 |
| 12 ბეჟანიშვილი | — | 1 | — | — | — | — | 3 |
| 14 კოკოლიშვილი | 9 | 4 | 2 | — | 5 | 5 | 5 |
| 9 ჩერქეზიშვილი (კ) | 20 | 1 | 1 | — | 12 | 11 | 4 |
| 15 ჩუბინიძე | 8 | 2 | — | — | — | — | 5 |
| 7 ტურაშვილი | 12 | — | 1 | — | 4 | 3 | 4 |
| სულ | 94 | 25 | 15 | 4 | 29 | 26 | 34 |

ორშაბათი, 21 ნოემბერი

**ვითა — უნივერსიტეტი 116:56 (68:34)**
ვითა: ი. ვაშაკიძე (39), ტურაშვილი (4), კობეშავიძე (7), ჩუბინიძე (8), ბეჟანიშვილი (10); სანაძე (20), ჩერქეზიშვილი (5), კოკოლიშვილი (17), ორმოცაძე (6)
უნივერსიტეტი: ი. ცაგარეიშვილი (2), კაზანჯიანი (6), ნიკოლაძე (7), ტეფნაძე (4), დილმელაშვილი (2), არსიაშვილი (8), ს. ჟღენტი (6), წონელია (9), დოლმაზაშვილი (6)
მსაჯები: ლ. ინწკირველი; ს. მაღალაშვილი

**აზოტი — გეორგიკა 78:59 (41:28)**
აზოტი: გაბისონია (13), კიკვიძე (2), ქობულაძე (4), კეჭაყმაძე (8), მ. ბერუაშვილი (13); აბზიანიძე (14), მიქიაშვილი (13), კოჭლამაზაშვილი (7), ხაიაური (3), მჭედლიძე, მიროტაძე, გონაშვილი (1)
გეორგიკა: ჩიქოვანი (9), ნივნივაძე (3), ძიძიგური (13), ეგუტია (2), ჭეიშვილი (15); გორგაძე, კობიძე (3), ჩაჩხიანი (4), შერმადინი (3), დ. დიხამიძე
მსაჯები: ო. ლებანიძე; ვ. ჭოტაშვილი

**დინამო — მერანი 87:79 (38:39)**
დინამო: მაისურაძე (12), დავითულიანი (3), ქარაბაკი (15), გ. ვაშაკიძე (5), სხიერელი (4); გოგუა (2), ცხვედიანი (17), ზ. ცაგარეიშვილი (4), ფერიაშვილი (20), სამხარაძე (5), კილაძე
მერანი: უძილაური (28), მ. ნაცვლიშვილი (4), ტალაბაძე (14), მაჩალაძე (12), გაბრიჩიძე (5); მშველიძე, გიგაური (11), ჩიხლაძე (5)
მსაჯები: ნ. ჭეიშვილი; ა. როსტომაშვილი

**კაქტუსი — ქუთაისი 84:50 (45:25)**
კაქტუსი: დ. თორთლაძე (8), ხოშტარია (10), რ. ჩხეიძე (15), ვ. ნაცვლიშვილი (18), ოთიურიძე (7); მაჭარაძე (5), ა. ჟღენტი (8), ახვლედიანი (4), ახალკაცი (7), აბულაძე (2)
ქუთაისი: ბერეკაშვილი (5), დევიძე (13), თურქაძე (1), ქათამაძე (11), ჩიხრაძე (6); გუგუციძე (12), სამხარაძე (2), ნიჟარაძე, ჭეიშვილი (3), წერეთელი
მსაჯები: რ. ხომერიკი; რ. გელოვანი

სამშაბათი, 22 ნოემბერი

**ვითა — ქუთაისი 125:51 (59:22)**
ვითა: ტურაშვილი (15), სანაძე (6), კობეშავიძე (11), ორმოცაძე (25), კოკოლიშვილი (20); ჩერქეზიშვილი (5), ბეჟანიშვილი (10), ჩუბინიძე (16), ი. ვაშაკიძე (17)
ქუთაისი: ბერეკაშვილი (25), დევიძე (6), გუგუციძე (4), ნიჟარაძე (4), ჩიხრაძე; თურქაძე (2), ქათამაძე (6), სამხარაძე (2), ჭეიშვილი (2), წერეთელი
მსაჯები: რ. გელოვანი; ნ. ჭეიშვილი

**კაქტუსი — შევარდენი 96:64 (45:25)**
კაქტუსი: დ. თორთლაძე (8), ახვლედიანი (16), რ. ჩხეიძე (8), ვ. ნაცვლიშვილი (15), ოთიურიძე (14); ხოშტარია (14), ა. ჟღენტი (15), მაჭარაძე (5), აბულაძე (1), ახალკაცი
შევარდენი: ფიოდოროვი (6), მაჭავარიანი (28), სართანია, ესიტაშვილი (6), თაბუაშვილი (6); ისაკაძე (9), ინაძე (4), დავარაშვილი (5), ლვინეფაძე, ქავთარაძე
მსაჯები: ლ. ინწკირველი; ო. ლებანიძე

**დინამო — აზოტი 101:79 (46:32)**
დინამო: მაისურაძე (7), ცხვედიანი (16), ქარაბაკი (26), ფერიაშვილი (9), სხიერელი (4); გ. ვაშაკიძე (25), ზ. ცაგარეიშვილი (8), კილაძე (6)
აზოტი: გაბისონია (13), კიკვიძე (7), ქობულაძე (13), მიქიაშვილი (11), მ. ბერუაშვილი (15); აბზიანიძე (4), კეჭაყმაძე (10), კოჭლამაზაშვილი (10)
მსაჯები: რ. ხომერიკი; ვ. ჭოტაშვილი

**თბილისი — თორსი 85:60 (44:34)**
თბილისი: პეტრიაშვილი (32), გურასპაული (12), ქორქია (10), ჭითავა (12), გ. ბერუაშვილი (9); გაგნიძე (2), მეჭურჭლიშვილი (2), ოქრუაშვილი (2), მალჩევსკი (2), ი. ბერიძე
თორსი: გ. ჩხეიძე (12), ლუდუშაური (6), თ. ცაგარეიშვილი (10), ქევხიშვილი (8), ხარაძე (8); ლოლიშვილი (3), სპარსიაშვილი (3), ჯაფარიძე (8), მიქაძე (2), ლომიძე (2)
მსაჯები: ს. მაღალაშვილი; ა. როსტომაშვილი

ხუთშაბათი, 24 ნოემბერი

**დინამო — ქუთაისი 118:66 (51:26)**
დინამო: მაისურაძე (15), ლ. სამხარაძე (17), გ. ვაშაკიძე (8), კილაძე (31), სხიერელი (33); დავითულიანი (14)
ქუთაისი: ბერეკაშვილი (20), დევიძე (21), გუგუციძე (2), ქათამაძე (7), ჩიხრაძე; ი. სამხარაძე (2), ნიჟარაძე (2), თურქაძე (4), ჭეიშვილი (6), წერეთელი (2)
მსაჯები: რ. ხომერიკი; ნ. ჭეიშვილი

**თორსი — უნივერსიტეტი 67:65 (30:39)**
თორსი: ორჯონიკიძე, ლუდუშაური (20), ი. ცაგარეიშვილი (7), ჯაფარიძე (3), ხარაძე (10); ლოლიშვილი (11), მიქაძე, სპარსიაშვილი (2), ქევხიშვილი (7), გ. ჩხეიძე (7)
უნივერსიტეტი: ს. ჟღენტი (11), კაზანჯიანი (3), დილმელაშვილი (12), ჯახველაძე (3), ტეფნაძე (10); წონელია (6), დოლმაზაშვილი (11), ი. ცაგარეიშვილი (5), არსიაშვილი (2), ნიკოლაძე (2)
მსაჯები: რ. ხომერიკი; ს. მაღალაშვილი

**ვითა — აზოტი 108:73 (46:29)**
ვითა: ჩერქეზიშვილი (8), ი.ვაშაკიძე (23), კობეშავიძე (17), ჩუბინიძე (4), ბეჟანიშვილი (9); ორმოცაძე (9), ტურაშვილი (6), კოკოლიშვილი (14), სანაძე (18)
აზოტი: გაბისონია (3), კიკვიძე (5), ქობულაძე (4), მიქიაშვილი (10), მ. ბერუაშვილი (15); აბზიანიძე (7), კოჭლამაზაშვიილი (13), კეჭაყმაძე (8), ხაიური, მიროტაძე (4), მჭედლიძე (4)
მსაჯები: ო. ლებანიძე, ა. როსტომაშვილი

**თბილისი — გეორგიკა 108:69 (62:26)**
თბილისი: პეტრიაშვილი (13), გურასპაული (45), ქორქია (13), ჭითავა (9), გ. ბერუაშვილი (8); მეჭურჭლიშვილი (2), გაგნიძე (3), მალჩევსკი (8), ოქრუაშვილი (5), ი. ბერიძე (2)
გეორგიკა: ჩიქოვანი (7), ძიძიგური (14), ეგუტია, შერმადინი, ჭეიშვილი; ნივნივაძე (24), ჩაჩხიანი (10), გაჩეჩილაძე (4), გორგაძე, კობიძე (7), დ. დიხამიძე (3), ბიჭაშვილი
მსაჯები: ლ. ინწკირველი; რ. გელოვანი

პარასკევი, 25 ნოემბერი

**მერანი — შევარდენი 91:58**
მერანი: უძილაური (16), გიგაური (16), მ. ნაცვლიშვილი (14), მაჩალაძე (19), მშველიძე (8); გაბრიჩიძე (1), ბარბაქაძე (5), ჩიხლაძე (2), ტალაბაძე (9), სიხარულიძე (1)
შევარდენი: ფიოდოროვი (6), მაჭავარიანი (36), სართანია (2), ესიტაშვილი (3), თაბუაშვილი; ლვინეფაძე (1), ისაკაძე (5), დავარაშვილი (2), ინაძე (3)
მსაჯები: ლ. ინწკირველი; ო. ლებანიძე

**ქუთაისი — გეორგიკა 67:63**
ქუთაისი: ბერეკაშვილი (18), დევიძე (21), გუგუციძე (9), ქათამაძე (11), ჩიხრაძე (6); თურქაძე (2), ნიჟარაძე
გეორგიკა: ჩიქოვანი (9), ჩაჩხიანი (6), ძიძიგური (12), ნივნივაძე (6), ჭეიშვილი (17), გაჩეჩილაძე (7), კობიძე (6)
მსაჯები: რ. ხომერიკი; ვ. ჭოტაშვილი

**დინამო — თბილისი 97:88**
დინამო: ზ. ცაგარეიშვილი (5), ცხვედიანი (20), ქარაბაკი (35), გ. ვაშაკიძე (5), სხიერელი (9), მაისურაძე (5), ფერიაშვილი (9), კილაძე (9)
თბილისი: პეტრიაშვილი (5), გურასპაული (49), ქორქია (8), ჭითავა (13), გ. ბერუაშვილი (13); გაგნიძე, ოქრუაშვილი, მეჭურჭლიშვილი, მალჩევსკი, ბერიძე
მსაჯები: ა. როსტომაშვილი; ვ. ჭოტაშვილი

**კაქტუსი — თორსი 110:64**
კაქტუსი: ა. ჟღენტი (5), ხოშტარია (13), ჩხეიძე (12), ვ. ნაცვლიშვილი (11), ბერძენიშვილი (8); მაჭარაძე (9), აბულაძე (2), ახვლედიანი (13), ოთიურიძე (20), აბრამიძე (6), ახალკაცი (11)
თორსი: ორჯონიკიძე (3), ლუდუშაური (24), გ. ჩხეიძე (17), თ. ცაგარეიშვილი, ხარაძე (6); მიქაძე (2), ლორთქიფანიძე (2), სპარსიაშვილი (6), ლოლიშვილი, ლომიძე (4)
მსაჯები: რ. გელოვანი; ს. მაღალაშვილი

შაბათი, 26 ნოემბერი

**უნივერსიტეტი — შევარდენი 74:63 (48:26)**
უნივერსიტეტი: კაზანჯიანი (12), წონელია (12), დოლმაზაშვილი (7), დილმელაშვილი (6), ტეფნაძე (20); ჯახველაძე (6), ი. ცაგარეიშვილი (9), არსიაშვილი (13), ს. ჟღენტი
შევარდენი: ფიოდოროვი (11), მაჭავარიანი (27), სართანია (3), ესიტაშვილი (3), თაბუაშვილი; ლვინეფაძე (6), ისაკაძე (10), ინაძე (3), დავარაშვილი
მსაჯები: ო. ლებანიძე; ვ. ჭოტაშვილი

**აზოტი — ქუთაისი 100:78 (46:29)**
აზოტი: გაბისონია (7), კიკვიძე (2), კეჭაყმაძე (2), მიქიაშვილი (19), მ. ბერუაშვილი (32); კოჭლამაზაშვილი (11), აბზიანიძე (8), მიროტაძე (8), მჭედლიძე (3), ხაიური (8), გონაშვილი
ქუთაისი: გუგუციძე (5), დევიძე (7), ქათამაძე (2), ნიჟარაძე (3), ჩიხრაძე (7); ბერეკაშვილი (21), თურქაძე (15), სამხარაძე (7), ჭეიშვილი (11), წერეთელი
მსაჯები: ო. ლებანიძე; ა. როსტომაშვილი

**მერანი — გეორგიკა 91:72 (42:45)**
მერანი: უძილაური (27), გიგაური (6), მ. ნაცვლიშვილი (27), მაჩალაძე (14), მშველიძე (2); ჩიხლაძე, ბარბაქაძე, გაბრიჩიძე (9), ანდღულაძე (6)
გეორგიკა: ჩიქოვანი (19), ჩაჩხიანი (9), ძიძიგური (14), ნივნივაძე (4), ჭეიშვილი (15); კობიძე (4), გაჩეჩილაძე (2), გორგაძე, დ. დიხამიძე (4)
მსაჯები: ლ. ინწკირველი; ს. მაღალაშვილი



# «ნაიკი» ტყუილად არაფერს იძლევა

ისეთი დრო დადგა, უცხოეთში ქართველ სპორტსმენთა წარმატებების ამბავს კანტიკუნტადღა თუ ვიგებთ. ბუნებრივია, ყველა ასეთი ცნობა ახლა განსაკუთრებულად გვახარებს. 13 წლის თბილისელი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე, ჩვენში თანატოლთა შორის უძლიერესი, თანდათან საერთაშორისო სარბიელსაც გაეცნო და უცბადაც გაუშინაურდა — წლეულს ევროპის ხუთი ქვეყნის კორტებზე იასპარეზა და სერიოზულ წარმატებასაც მიაღწია.

ჯერ იყო 14 წლამდე ჭაბუკთა დიდი ტრადიციული ტურნირი იტალიის ქალაქ პალერმოში, სადაც ლაბაძესთან ერთად გამოდიოდნენ ავსტრიელი, ინგლისელი, უნგრელი, რუმინელი, რუსი, ჩეხი, პოლონელი, პორტუგალიელი, ფრანგი და იტალიელი ჩოგბურთელები. ყოველი ქვეყანა წარმოდგენილი იყო პირველ-მეორე რეიტინგის მქონე სპორტსმენებით. ირაკლის პირველივე წრეში ძლიერი მეტოქე შეხვდა — მეორე ნომრად განთესილი ბრიტანელი კირნანი. ქართველმა ჩოგბურთელმა ადვილად დასძლია ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტის წინააღმდეგობა — 6:3, 6:3. შემდეგ ლაბაძემ ასევე ორ სეტში აჯობა კიდევ სამ მეტოქეს, ნახევარფინალში კი მასპინძელთა უკანასკნელი იმედი ფრანჩესკო ალდიც მათ მიაყოლა — 6:1, 6:3. ლაბაძისა და მესამე ნომრად განთესილ რუმინელ კრაჩუნის გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ტანადმა რუმინელმა იძალა 6:2, 6:2 და მთავარი პრიზიც მას გადაეცა.

შემდეგ იყო სპორტული სამოსის უცნობილესი ფირმის „ნაიკის" მიერ მოსკოვში მოწყობილი ტურნირი. ათამდე ქვეყნის 42 წარმომადგენელი იბრძოდა სოლიდური პრიზისთვის — პირველ ადგილზე გასულს „ნაიკი" ერთი წელი სრულ ეკიპირებას შეპირდა. ირაკლიმ აქაც იყოჩაღა, ხუთივე შეხვედრა მოიგო და სამ თვეში ერთხელ სახელგანთქმული ფირმის ამანათს მიიღებს. ფინალში ლაბაძემ დაამარცხა მოსკოველი გენადი ბერკოვიჩი (6:3, 6:3), რომელიც მეორე წელია ამერიკელი მწვრთნელის ნიკ ბოლეტიერის საქვეყნოდ ცნობილ აკადემიაში ვარჯიშობს.

მოსკოვს მოჰყვა ზედიზედ სამი ტურნირი ჰოლანდიაში, ბელგიასა და გერმანიაში. პირველივე შეჯიბრებაზე, მეორე წრეში ირაკლიმ ფეხი იტკინა და გამოეთიშა ასპარეზობას, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ ლიეჟში მესამე ადგილი დაიკავა, ბადენ-ბადენის ტრადიციული ტურნირის ფინალშიც გავიდა.



ირაკლი ლაბაძე
თბილისის „დინამო"

დაიბადა 1981 წლის 9 ივნისს
სიმაღლე 172 სმ, წონა 63 კგ.
ჩოგბურთის თამაში დაიწყო 7 წლისამ
მწვრთნელი რენა აბჟანდაძე.
სწავლობს თბილისის 58-ე სკოლაში
საქართველოს სამგზის ჩემპიონი ჭაბუკებში

გერმანიაში ყოფნისას ულმის საჩოგბურთო ცენტრის ხელმძღვანელობამ ნიჭიერ ქართველ სპორტსმენს ხუთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა ყოველმხრივი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფით. ირაკლი ალბათ მალე გაემგზავრება გერმანიაში, იქ გააგრძელებს დაოსტატებას და, იმედია, უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვებებითაც გაგვახარებს.

გია ახალაძე



დრო უქმად არ დაუკარგავს უელსის ნაკრების კაპიტანსა და მარჯვენა გარემარბ იაიან ევანსს, ვისაც ამ ერთი თვის წინ საკლუბო თამაშში კოჭი მოუტეხია. დაშავებული მორაგბე შეამხანაგებია პარფიუმერულ ფირმას და მასთან თანამშრომლობით ბაზარზე გაუტანია ტანის ლოსიონები. „იაიან 14“ (14 ევანსის ნომერია) უკანა ხაზისთვის ყოფილა გათვალისწინებული, „8“ კი — მორკინალთათვის. ერთი სიტყვით, თუ აქამდე მორაგბეთა გასახდელები ოფლის, მალამოებისა და ლუდის სუნით ყარდა, ამიერიდან ევანსის ლოსიონების წყალობით იქ ნატიფი სურნელი დატრიალდება.

# ფურუს ღალატი

წინა კვირის უმთავრესი სარაგბო და სალიგისრაგბო მოვლენები მოედნებს მიღმა მოხდა. 7 ნოემბერს პარიზში საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელყოფილმა, „პატარა ბონაპარტად“ შერაცხულმა ჟაკ ფურუმ საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გაიტანა პროფესიული სარაგბო ცირკის მისეული პროექტი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაგბის წესები ერთობ რთულია, რაც თურმე მოთამაშეთა სულებს ბორკილად ადევს, რის გამოც XX საუკუნის ბოლოს თავად გადაუწყვეტია გამოიგონოს ისეთი, პრინციპულად ახალი თამაში, რომლის სადა წესებსაც საფუძვლად დაედება ... ლიგის რაგბის წესები, რაკიღა სწორედ რომ ბურთაობის ლიგისეული გააზრება ყოფილა სილაღის ხელისშემწყობი (?!)

პრეს-კონფერენციაზე ფურუს მხარს უმშვენებდა ბრიტანეთის რაგბის ლიგის მთავარი აღმასრულებელი მორის ლინდზი. მან მომხსენებელი შეაქო და აღნიშნა, რომ ფურუს პროექტს შეუძლია საფრანგეთში დღესდღეობით მინავლებული ლიგის რაგბის მოღონიერება, რის გამოც ბრიტანელი პროფესიონალები მთლიანად მხარს ვუჭერთ წამოწყებასო. აქედან გაცხადდა, რომ ცირკი ოდენ ნიღაბია, სინამდვილეში კი რაგბში ხელმოცარული ფურუ ლიგაში აპირებს თავის გამოჩენას.

პრეს-კონფერენციას გამოძახილი შესაფერი მოყვა. ფრანგული რაგბის ბერმუხამ, ეროვნული ფედერაციის ექს-პრეზიდენტმა ალბერ ფერასმა „პატარა ბონაპარტს“ მორიგი მოღალატე უწოდა და ბიზნესმენებს მოუწოდა, ფურუს გიჟურ წამოწყებას გროშიც არ შეაწიოთო. ფერასს უბრძანებია, ჩემი ყოფილი პროტეჟეს ახალი იდეა სხვა არაფერია, თუ არ ლიგის რაგბი, ოღონდაც ამერიკულად შემოსილიო. არადა, ფურუ თურმე გეგმავს ევროპული პროფესიული ლიგის შექმნას, რომელშიც 16 დიდი ქალაქის: ლონდონის, კარდიფის, მანჩესტერის, ედინბურგის და მისთანათა კლუბები იასპარეზებენ. უცხოელ მიმომხილველებს ერთობ აეჭვებთ არა მარტო ლიგის წარმატება, არამედ თვით მისი დაარსების შესაძლებლობაც.

იმავე დღეს ლიგის რაგბის მომავლის გამო ომი გაჩაღდა ავსტრალიაშიც. იქაურ „ვინფილდის თასს“, რომელიც ახალი წლიდან შესამჩნევად ფართოვდება, ტელევიზიით აქამდე გადასცემდა „მეცხრე არხი“, რომლის ბატონ-პატრონიც გარი პარკერია. ახლა გაირკვა, რომ მსოფლიო მედიის მაგნატს, ასევე ავსტრალიელ რუპერტ მერდოქს განუზრახავს, ლიგის რაგბის ტრანსლირების უფლებას ერთპიროვნულად დაეპატრონოს, რისი გულისთვისაც „ვინფილდის თასის“ მონაწილე ბობოლა კლუბების გადაბირებასაც არ თაკილობს. მერდოქი თურმე აპირებს ახალი, ათკლუბიანი სუპერლიგის შექმნას, რითაც „მეცხრე არხს“ სახრავს ერთიანად გამოაცლის ხელიდან. მედიაში გაუჟონია ცნობას, რომ „ვინფილდის თასის“ ბოლო ორი გამარჯვებული — ბრისბენის „ველური ცხენები“ და კანბერის „ყაჩაღები“ უკვე მერდოქს მიემხრნენო, რის გამოც ავსტრალიის რაგბის ლიგის თავმჯდომარე კენ არვერტონი ამ კლუბებს დამუქრებია, თქვენა და თქვენს მოთამაშეებს კონტრაქტი გარი პარკერთანა გაქვთ დადებული, ამიტომ ჭკუით იყავითო.

მერდოქის შეტევამ, ეტყობა, სულაც ვერ შეაშინა არსებული ლიგა. მის ახალ წევრს, ახალი ზელანდიის უდიდესი ქალაქის — ოკლენდის „მეომრებს“ უკვე მოუზიდავთ ბრიტანეთში მოთამაშე თვისაანები, ახლა

კი თვალი თვით მორაგბე ჯონ ქერვინისთვისაც დაუდგამთ, ვისაც ოქტომბერში განუცხადებია, მოუცლელობის გამო რაგბს თავს ვანებებო. 29 წლის ოკლენდელ გარემარბს „ოლ ბლექსში“ 63 კეპი მოუხვეჭია და 31 ლელო გაუტანია. ლიგელებს მისთვის ერთწლიანი კონტრაქტი შეუთავაზებიათ, მაგრამ ჯონს სული ეშმაკისათვის არ მიუყიდია — რაგბისთვის რომ ეღალატა, მთელი ქვეყანა შეაჩვენებდა.

ამასობაში ლიგის მსოფლიო ჩემპიონებმა — ავსტრალიის „კენგურუებმა“ ბრიტანულ ტურნეზე ბოლო ორი საკლუბო თამაშიც გამართეს: მოუგეს შარშანდელი სეზონის ლიდერებს — „ვორინგთონს“ 24:0 და „ბრედფორდს“ 40:0. ამით „კენგურუებმა“ იშვიათი რეკორდი დაამყარეს — ბრიტანულ კლუბებს ზედიზედ 50 თამაში წაუგებლად გაუმართეს; სტუმრები კლუბთან ბოლოს 1978 წელს დამარცხებულან. „კენგურუებს“ ამ შაბათს ლიდსში მესამე, გადამწყვეტი ტესტი ელით. სერიის ანგარიშში ჯერჯერობით საყაიმოა 1-1. პირველი ტესტის შემდეგ დოპინგ-ტესტი ჩაფლავებია მათს მოთამაშე დინ პეის: მისთვის ფსევდო-ეფედრინის მიღება დაუდგენიათ, მაგრამ ამას თავი უმართლებია, გავცივდი და გუნდის ექიმმა რაღაც წამლები დამალევინაო.

11 ნოემბერს სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირმა დაიცვა ირბ-ის მიერ შერისხული თავისივე პრეზიდენტი. საერთაშორისო საბჭო დოქტორ ლუი ლეიტს შემოსწყრომია, ინგლისური სარაგბო ჟურნალისათვის მიცემულ ინტერვიუში აუგად რად გვახსენეო. როგორც სამხრეთაფრიკელებს განუცხადებიათ, ჩვენი პრეზიდენტის ნათქვამი ინტერვიუერს გაუბუქავს და გაუსენსაციურებია, რასაც ჟურნალის ფოტოგრაფიც დაადასტურებს. ისე კი, მსოფლიო რაგბის საქმე ცუდად ყოფილა, თუკი მისი მამები კრიტიკას ველარ ჰგუობენო.

**„ქურციკები“ ბრიტანეთში**

(VI თამაში) 9.XI. მელროუზი: შოტლანდია „A“ 17 — სამხრეთი აფრიკა 15. (VII) 12.XI. გლაზგო: შოტლანდიის მხარეთა ნაკრები 6 (6) (2ხ: მაქქენზი) — სამხრ. აფრიკა 33 (12) (5ლ: ი. ვანდერვესტჰაიზენი, მულერი - 2, სტრონილი, კრუგერი;...). (VIII) 15.XI. აბერდინი: შოტლანდიის სამომავლო ნაკრები 10 — სამხრ. აფრიკა 35. ტესტი 19.XI მარიფილდში

**სხვა მატჩები (12.XI)**

ლონდონი: ინგლისი 54 (26) (6ლ: თ. ანდერვუდი - 2, ქარლინგი, როდბერი, საჯარიმო, რ. ანდერვუდი; 6გ, 4ხ: ენდრიუ) — რუმინეთი 3 (3) (ხ: ივანჩუკი). დუბლინი: ლენსთერი 9 — აშშ 6

სამხრეთი შოტლანდიის ქალაქ მელროუზში ქურციკის ფიტულს თავი წააგდებინეს სამხრეთაფრიკელთა ბრიტანული ტურნეს შოტლანდიური მონაკვეთის პირველსავე მატჩში — გადამწყვეტი არეკნი ბოლო წამებზე შეუგდია მასპინძელ დანკან ჰოგს. რაც შეეხებათ რუმინელ ტურისტებს, თვიქნემში ისინი მე-2 წუთზევე დაწინაურდნენ, მაგრამ 25-ე წუთისთვის ინგლისმა ოთხი საჯარიმო გაიტანა, მერე და მერე კი წვიმის მიუხედავად მაინც ითამაშა ზეთანამედროვე რაგბი და საჯარიმოებს ექვსი ლელოც მიაყოლა.

კრასნოიარსკის მახლობლად ტყეში უპოვიათ რუსეთის ნაკრების კაპიტნის, იქაური „კრასნი იარის“ გარემარბის იგორ კუპერმანის გვამი. მორაგბისათვის თავში ერთი ტყვია დაუხლიათ. რუსეთის რაგბის კავშირი მკვლელობის მიზეზზე დუმს, თუმცაღა ქვეყანამ უწყის, რომ რუსი მორაგბეები ცნობილი რეკეტირები არიან.





ბრიტანეთის ბულვარული პრესის ფლაგმანმა — გაზეთმა „სანმა“ (მზემ) 9 ნოემბერს გამოაქვეყნა ზიმბაბვეს ნაკრებისა და ინგლისის „საუთჰემპტონის“ მეკარის ბრუს გრობელაარის მამხილებელი სტატია. გაზეთი ამტკიცებს, რომ შარშან, როცა გრობელაარი ჯერ კიდევ „ლივერპულში“ თამაშობდა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ერთ-ერთი ტოტალიზატორის მითითებისამებრ თამაშებს ჰყიდდაო. „სანს“ თურმე ვიდეო სამხილიც კი მოეძევება იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ერთი წლის წინ „ლივერპულის“ მიერ „ნიუკასლთან“ 0:3 წაგებულ თამაშში გაშვებული გოლებისათვის ბრუსს გასამრჯელოდ 40 ათასი გირვანქა მიუღია, ხოლო კიდევ ორ თამაშში გუნდის დაღალატებისთვის ქრთამად 175 ათასი ჩაუჯიბავს. მეკარემ მყის უარყო ბრალდებები და გაზეთს სასამართლოში უჩივლა ცილისწამებისათვის. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ იმთავითვე ფრთხილი პოზიცია დაიკავა და ბრძანა, სამხილებს გავაანალიზებთ და გრობელაარს განაჩენს მერე გამოვუტანთო. საქმით ფიფაც დაინტერესდა. ამასობაში ზიმბაბვეს შინ აფრიკის ერთა თასის შესარჩევი თამაში ელოდა ზაირის წინააღმდეგ. გრობელაარი სამშობლოში შუა კვირაში უნდა ჩაფრენილიყო, მაგრამ გამგზავრება დაუგვიანდა. ნაკრების მწვრთნელ რუდი გუდენდორფს



გრობელაარს ამდენ ჯამბაზობაში თამაშებიც გაუყიდია

მის სინდისიერებაში ეჭვიც არ შეუტანია და კარში დააყენა. თამაში ეროვნულ სტადიონზე კვირას, 13 ნოემბერს გაიმართა. გრობელაარს ერთობ ჰყვარებია თამაშის წინ მასკარადის გამართვა: დაღებილ-დათხუპნული გამოვა მოედანზე და ნიღაბსა და ჯამბაზურ ხამოსს თანდათან შემოიძარცავს ხოლმე. ამჯერად ბრუსი ტაკიმასხრობის ხასიათზე ვერ ყოფილა. თამაშიც ერთობ დაძაბული და შარიანი გამომდგარა. 90 წუთი კარგა ხნის გასული იყო, ზამბიელმა მსაჯმა სტუმართა კარში პენალტი რომ დანიშნა. იგი გაიტანა „კოვენტრის“ მოთამაშე ანლავმა და ზიმბაბვეს 2:1 გაამარჯვებინა. მასპინძლებს ეს მოგება ერთობ სჭირდებოდათ, ვინაიდან წინა თამაში გუნდის შინაამლილობის გამო 1:3 წაუგიათ მალავთან. პენალტის დარტყმა ერთი იყო და გავეშებული ბრბო მოედანზე გაიჭრა და მსაჯი ლამის იყო გათელა — უთუოდ მეტისმეტი სიხარულის გამო. ამის შემხედვარე, ხელკეტებით შეიარაღებული პოლიცია მოედანზე ნაგაზებს შეუძლვა და 20-წუთიანი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ წესრიგი როგორც იყო აღადგინა. ვიდრე გრობელაარი ზიმბაბვეში ბრძანდებოდა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გამოაცხადა, რომ „სანისეული“ ბრალდებები სარწმუნო ეჩვენა, რის გამოც მეკარეს ორი კვირა გამოუყო ახსნა-განმარტებისა და თავის სამართლებლად.

გერმანიის უგამოჩენილესი მოთამაშე ფრანც ბეკენბაუერი ამ ორშაბათს თითქმის ერთხმად აირჩიეს მშობლიური მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტად.

სამხრეთ ამერიკის სუპერთასი მოიგო არგენტინის „ინდეპენდიენტემ“, რომელმაც ფრედ 1:1 დამთავრებული პირველი ფინალის შემდეგ შინ 1:0 მოუგო ლუის სესარ მენოტის „ბოკა ხუნიორსს“. ბურთი 55-ე წუთზე გაიტანა სებასტიან რანბერმა. სუპერთასი „კოპა ლიბერტადორესის“ გამარჯვებულთათვის დაწესებული შეჯიბრებაა.

არგენტინა და ჩილე ბოლო ხანებში ტერიტორიულ დავაში ჩაებნენ სამხრეთი პატაგონიის ერთი რაიონის გამო. საერთაშორისო არბიტრაჟმა სადაო მიწა არგენტინას მიაკუთვნა, რის გამოც ჩილეში ერთობ გალვივდა ანტიარგენტინული ვნებები. მიუხედავად ამისა, ჩილელებმა ვაჟკაცურად აღიარეს, პოლიტიკა სპორტში არ უნდა გავრიოთო და 16 ნოემბრისთვის სანტიაგოში დანიშნული ჩილე — არგენტინის თამაში არ გადაუდებინებიათ. ერთი ეგაა, უსაფრთხოებისათვის საგანგებო ზომები მიიღეს.

იუგოსლავიაში ზეიმობენ. გაერომ ამ ქვეყანას ნაწილობრივ გაუუქმა სანქციები და სპორტული ღონისძიებების გამართვის ნება დართო. 13 ნოემბერს ამით ისარგებლა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ და საბერძნეთის „ოლიმპიაკოსს“ უმასპინძლა. ფეხბურთს დანატრებული 30 ათასი ქომაგის გასახარად სლავებმა 4:1 გაიმარჯვეს.

აფრიკაში წინა კვირაში გამოვლინდნენ კონტინენტის საკლუბო თასების გათამაშებების ფინალისტები. ჩემპიონთა თასისთვის ტუნისის „ესპერანსი“ (იმედი) ეთამაშება მფლობელს — ეგვიპტის „ზამალექს“. თასის მფლობელთა თასს ერთმანეთს შეეცილებიან კენიის „ბრუერიზი“ (ლუდის სახდელები) და ზაირის „მოტემა პემბე“, აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის თასის ფინალში კი ანგოლის „პრიმიერო მაიუ“ (პირველი მაისი) ნიგერიის „ბენდელ ენშუარენსს“ (დაზღვევას) შეეჯიბრება.



15 ნოემბერს სევდიანად დასრულა გამორჩეული კარიერა აწ უკვე 38 წლის მარტინა ნავრატილოვამ. ერთეულთა 167 ტიტულის მომგებმა მანდილოსანმა ნიუ-იორკის „მედისონ სქვეარ გარდენში“ „ვირჯინია სლიმზის ფინალის“ პირველსავე წრეში წააგო არგენტინელ საბატინთან 4:6, 2:6. წინა კვირაში ასევე პირველსავე წრეში გავარდა ჩოგბურთში დაბრუნებული ჯენიფერ კაპრიატი. მან ფილადელფიაში წააგო გერმანელ ჰუბერთან 4:6, 6:3, 1:6, რომელმაც მერე ფინალამდე მიაღწია, მაგრამ ფრანგ პირსთან დამარცხდა.

## ქარიმი განადიდეს

ქარიმ აბდულ ჯაბარი 8 ნოემბერს აირჩიეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის „დიდების დარბაზის“ ახალ წევრად. ქარიმმა „მილუოქი ბაქსს“ ერთხელ მოაგებინა „მსოფლიოს ჩემპიონობა“, „ლოს-ანჯელეს ლეიკერზს“ — ხუთჯერ; გარდა ამისა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე გამხდარა ექვსჯერ, 19-ჯერ კი უთამაშია „ოლ-სტარზის“ ყოველწლიურ მატჩში.




## აქეთური, იქითური

ნაღდი ამბავია, რომ 1997 წელს ჩინეთი ფორმულა-1-ის ეტაპს უმასპინძლებს. იმ დღეს, როცა ადელაიდაში შუმახერი და ჰილი ერთმანეთს შეეჯახნენ, ჯუჰაიში გაიმართა სამსაათიანი საჩვენებელი რბოლა, რომელსაც 100 ათასი ჩინელი ადევნებდა თვალს. [illegible] ერთი წრის სიგრძე 4,3 კილომეტრი ყოფილა. მალე თურმე ამას [illegible] გოლფ-კლუბი და [illegible] მილიონ დოლარს გაუტოლდება.

*

ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადის მომწყობთ საგულდაგულოდ შეუსწავლიათ ცხენთა ჯანმრთელობის საკითხი და დაუდგენიათ, რომ სამჭიდის სამივე სახეობა — სტიპლ-ჩეისი, კროსი და საველე გამოცდა 20-20 პროცენტით შეკვეცონ, შეჯიბრი კი ყოველდღიურად დილით დაიწყონ ისე, რომ შუადღემდე დაამთავრონ.

*

შაბათს მეხიკოში დრამა დატრიალდა. კრივის მსოფლიო საბჭოს ვერსიით ერთ-ერთი მსუბუქწონოსანთა საჩემპიონო შერკინების დროს ამერიკელმა ტერი ნორისმა მეხუთე რაუნდში კეფაში უთავაზა მუშტი დომინიკელთა რესპუბლიკის წარმომადგენელ ლუის სანტანას, რის გამოც რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა, ამერიკელს დამარცხება მიუსაჯა და ტიტული დააკარგვინა. სანტანა ჰოსპიტალში გააქანეს, მაგრამ მალევე მომჯობინდა. სამაგიეროდ, მოკვდა ბულგარელი ცვეტან ტოდოროვი, ვინაც ერთი კვირით ადრე შვეიცარიის ქალაქ სენტ-გალენში იტალიელმა მარკო პეჩარელიმ მესამე რაუნდში დაანოკაუტა. 28 წლის ბულგარელს საავადმყოფოში ტვინიდან იქ ჩაქცეული სისხლი მრავლად ამოუღეს, მაგრამ სულ ამაოდ. რაც შეეხება კიდევ ერთ მოკრივეს — კოლუმბიელ ექს-ჩემპიონ რუბენ პალაციოს, მაიამის სასამართლომ იგი დამნაშავედ სცნო ჰეროინის კონტრაბანდის გამო, რისთვისაც ვირის აბანოში მინიმუმ ათი წლით ამოაყოფინებენ თავს.

*

კიბომ 56 წლისა იმსხვერპლა თაობის კერპი, ამერიკელი მძლეოსანი ქალი ვილმა რუდოლფი. მას ბავშვს გადაუტანია პოლიომიელიტი, ფილტვების ანთება და წითელი ცხელება, მაგრამ შემდეგ ისე მომჯობინებულა, რომ 1960 წელს, რომის ოლიმპიურ თამაშებზე, პირველს ამერიკელ ქალთაგან მოუგია ერთბაშად სამი „ოქრო“: 100 და 200 მეტრზე რბენასა და ესტაფეტაში; ამასთან, მოკლე სპრინტში მსოფლიო რეკორდი გაუმეორებია, ამანათრბენში კი ასეთივე რეკორდის გაუმჯობესებაში წვლილი შეუტანია.

*

ამერიკული ბურთაობის ეროვნული ლიგის კლუბ „ტამპა-ბეი ბაკანიერსს“ (მეკობრეებს) გაყიდვა ემუქრება. საქმე ისაა, რომ ეს გუნდი მაჩანჩალათა შორის მაჩანჩალა ყოფილა და ლიგის არსებობის მანძილზე უცუდესი ჯამური შედეგიც ჰქონია.

*

კენიის მძლეოსნობის ასოციაცია როგორც იქნა გამოექომაგა ცნობილ კროსმენსა და სტაიერ ჯონ ნგუგის, ვისთვისაც საერთაშორისო ფედერაციას (იააფ) ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსჯია ვითომდაც დოპინგ-ტესტირებისათვის თავის არიდების გამო. კენიელებმა განაცხადეს, რომ წერა-კითხვის უმეცარ ნგუგის, ვინაც ჯარში სერჟანტად მსახურობს, არმიული წესდების თანახმად უფლება არა ჰქონდა ვილაც სამოქალაქო პირების მოთხოვნისამებრ — მოეშარდა, თუგინდ ეს პირები იააფ-ის მიგზავნილი ყოფილიყვნენო. საინტერესოა, ახლა რაღას იზამს ფედერაცია, რომელმაც ახლახანს ნგუგის მორიგი შეწყალების თხოვნა უარყო.

*

ბრიტანეთის მძლეოსნობის მამებს ბადროს მტყორცნელ პიტერ გორდონისათვის უპატიებიათ ოთხწლიანი სადოპინგო დისკვალიფიკაცია, აქაოდა კაცს ლიმფური სისტემის კიბო ჭირს და ცოდოაო. იააფ-ს ეს რომ გაუგია, ერთი ამბავი აუტეხია, რას მიქვია ჰუმანური მოსაზრებებით და კანონთა განუხრელად დაცვა დაუჟინებია.

*

ჰავაიზე გოლფის დიდი სლემის ჩემპიონატის მოგებისათვის ავსტრალიელ ნორმანს ჯილდოდ **400 000 $** ერგო. **250 000 $** მიითვალა ზიმბაბველმა პრაისმა, **200 000 $** — სამხრეთაფრიკელმა ელსმა, **150 000 $** კი — ესპანელმა ოლასაბალმა.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით
ინდექსი 66441

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი,
IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის:
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება —
საგამომცემლო ფირმა
„მარდი“

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მეძველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)